პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 215 (9683) | პარასკევი, 11 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

ტოლსტოის დღეები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

გამომგონებლები და რაციონალიზატორები (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — პარტიული ორგანიზაცია და საწარმოო რეზერვების გამოყენება. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

ვ. გელაშვილი. — აგრონომი ტრიფონ ცაგარეიშვილი (მე-2 გვერდი).

დ. ენუქიძე. — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სოციალიზმის გზაზე (მე-3 გვერდი).

დ. მჭედლიძე. — ჩვენი თანამედროვეობა [illegible] (მე-3 გვერდი).

ფინეთის კომუნისტური პარტიის 35 წელი (მე-4 გვერდი).

გერმანიის ერთიანობისათვის (მე-4 გვერდი).

ბერლინის დემოკრატიული პრესა ბონის ბუნდესტაგის არჩევნების შედეგების შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებენ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ჩვენი ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამასთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქონელბრუნვის ყოველი ღონისძიებით გაშლის, სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესების ამოცანა.

ვაჭრობის გაუმჯობესება დაბეჯითებით მოითხოვს სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებას, მათი საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას. პარტიის XIX ყრილობის შემდეგ პარტიის ახალი წესდებით სავაჭრო დაწესებულებათა პარტორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. ამან ხელი შეუწყო სავაჭრო დაწესებულებათა საქმიანობაზე მათი გავლენის გაძლიერებას.

ფაქტები მოწმობენ, რომ იქ, სადაც პარტიულმა ორგანიზაციამ უნარიანად მოაწყო პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, სავაჭრო დაწესებულების მთელი კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს მის წინაშე მდგომ ამოცანებს, გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, აუმჯობესებს მომხმარებელთა მომსახურებას. ასეა, მაგალითად, „თბილვაჭრობის“ № 96 და № 2 მაღაზიებში, მთავარ უნივერმაღში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში. „თბილვაჭრობის“ № 96 მაღაზიის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი თ. მეტონიძე) უნარიანად იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რეგულარულად იწვევს პარტიულ კრებებს, უყურადღებოდ არ ტოვებს ვაჭრობის წესების დარღვევის არც ერთ შემთხვევას, დროულად იღებს ზომებს და აღწევს მაღაზიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, გულდასმით სწავლობს მოსახლეობის მოთხოვნილებას საქონელზე, იჩენს შემოქმედებითს ინიციატივას, ღრმად სწვდება მაღაზიის საწარმოო ცხოვრებას და თავის ამოცანებს წყვეტს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლით.

ასე რიდი იქცევიან, მაგალითად, „თბილპურვაჭრობისა“ და „თბილკვებვაჭრობის“ კიროვის რაიონის ქსელის პარტიული ორგანიზაციები (მდივნები შ. მახარაძე, ვ. სანებლიძე), აგრეთვე 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. მაჩკალოვი). ამ ორგანიზაციებში შინაპარტიული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, პარტიული კრებები არარეგულარულად და დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა პატივისცემით არ სარგებლობს, დახლის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაშლილია. ამ სავაჭრო დაწესებულებებში არ სრულდება საქონელბრუნვის გეგმები, ხშირია ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები, დაბალია ვაჭრობის კულტურა.

სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის იმაში, თუ როგორ მოაწყოს პარტიული კონტროლი ადმინისტრაციის საწარმოო საქმიანობისადმი.

პარტიული ორგანიზაციები ყოველდღე, გამუდმებით უნდა მუშაობდნენ ადამიანებთან, კადრებთან, რომლებიც მომსახურებას უწევენ მომხმარებელთა ფართო მასებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ კადრების შერჩევას, განაწილებას, ზრდიდნენ მათ კომუნისტური სულისკვეთებით, დახლის, ვაჭრობის მუშაკებს შორის აწყობდნენ ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

დაუშვებელია ფაქტი, როცა, მაგალითად, მარჯვენა მხრის სასადილოების ტრესტის კიროვის რაიონის ქსელის პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტიკური აგიტაცია წარმოებს შემთხვევიდან შემთხვევამდე. გაზეთის კითხვა და საუბრები ეწყობა არარეგულარულად, იშვიათად იმართება მოხსენებები და ლექციები ვაჭრობის მუშაკებისათვის. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლის შედეგად არის დისციპლინის დარღვევის, მომხმარებელთა ცუდად მომსახურების შემთხვევები.

პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, სავაჭრო დაწესებულებაში ისეთი ვითარების შექმნა, რომ ვაჭრობის მუშაკები გაბედულად, მთელი ხმით ლაპარაკობდნენ მომხმარებელთა მომსახურების ნაკლოვანებებზე, კი არ ჩქმალავდნენ, არამედ დაუნდობლად ამხილებდნენ დაშვებულ შეცდომებს. თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიაღწიოს მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლებას, ეწეოდეს შეურიგებელ ბრძოლას საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევებთან, დაუნდობლად ამხილებდეს და დევნიდეს სავაჭრო ქსელიდან არაკეთილსინდისიერ მუშაკებს სოციალისტური ქონების დამტაცებლებს. პარტორგანიზაცია განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა ეკიდებოდეს მშრომელთა საჩივრებს, ყოველდღიურად და გულდასმით სწავლობდეს საჩივრისა და წინადადებათა წიგნში ჩაწერილ შენიშვნებს, საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის აქტებს.

სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების მინიჭებამ გაზარდა მოთხოვნილება თვით პარტიის რაიონული კომიტეტებისადმი. რაიონულმა კომიტეტებმა ამჟამად თუმცა ერთგვარად გააძლიერეს სავაჭრო დაწესებულებათა პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, მაგრამ ამ მხრივ მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია. თბილისის პარტიული ორგანიზაციის კიროვის რაიკომის ბიურომ 12 ივნისს განიხილა „თბილპურვაჭრობის“, „თბილკვებვაჭრობის“, „თბილვაჭრობის“ და მარჯვენა მხრის სასადილოების ტრესტის ქსელის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება. გავიდა თვეები, და ეს დადგენილება არავის გახსენებია. იგი რაიკომმა მხოლოდ 1 სექტემბერს გაიხსენა. გამოირკვა, რომ შესრულებული არ არის დადგენილების არც ერთი მუხლი. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებელია. სავაჭრო დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს რაიკომის სისტემატური ხელმძღვანელობისა და დახმარების გარეშე. ამიტომ რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან მუდამ მხედველობაში ჰქონდეთ სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები, სისტემატურად ამოწმებდნენ მათს მუშაობას, ოპერატიულ ხელმძღვანელობას და კონკრეტულ დახმარებას უწევდნენ მათ.

საბჭოთა ვაჭრობა ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებებს ემსახურება. იგი მომსახურებას უწევს სოციალისტურ საზოგადოებას, ხელს უწყობს სოციალისტური წარმოების განვითარებას და განმტკიცებას, ამასთან სასიცოცხლო მნიშვნელობის რგოლია სახელმწიფო მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიური ურთიერთობის საერთო სისტემაში.

იმისათვის, რომ საბჭოთა ვაჭრობამ შეძლოს წარმატებით შეასრულოს სოციალისტური საზოგადოებისათვის არსებითად საჭირო ფუნქციები, აუცილებელია ამაღლდეს სავაჭრო დაწესებულებათა საქმიანობისადმი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობის დონე, ამაღლდეს სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების როლი.

მოსკოვის მეგზროს მეხუთე რიგის მშენებლობაზე

მოსკოვის მეტრომშენის კოლექტივმა გააჩაღა მზადება მეტროს მეხუთე რიგის ასაგებად. 12 კილომეტრი სიგრძის ახალ მიწისქვეშა მაგისტრალებს ექნებათ 9 სადგური-სასახლე. ამჟამად მთავრდება ახალი ტრასის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, გამორკვეულია გრუნტის შემადგენლობა.

პირველნი სამშენებლო მოედანზე, რომელიც ამჟამად მოქმედი სადგურის „ბოტანიკური ბაღის“ მახლობლად მდებარეობს, მოვიდნენ № 12 მშენებლობის მეშახტეები. ამ კოლექტივს დაევალა სადგურ „ბოტანიკური ბაღის“ აშენება. იგი მოთავსდება ამჟამად მოქმედი იმავე სახელწოდების სადგურის ქვეშ. მარკშეიდერებმა — „მიწისქვეშა შტურმანებმა“ — განსაზღვრეს ადგილი, სადაც უნდა დაიწყოს № 511 ჭაურის გათხრა. ამ ჭაურით იწარმოებს ქანის გამოტანა და მომავალი სადგურის აგებისას საჭირო მასალის მიტანა. ახლა უკვე დაიწყო გრუნტის დამუშავება ჭაურის მშენებლობაზე. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

ესტონეთის სსრ. ვილიანდის საკონსერვო ქარხანამ მოსახლეობისათვის 200 ათასით მეტი ქილა კონსერვი გამოუშვა, ვიდრე შარშან. სურათზე: საწონ-საფუთავი საამქროს შემხვევი კომკავშირელი ნ. გორნევა, რომელიც ცვლის ნორმას 180 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. სამუსენკოსი.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ს. პეტროვის ბრინჯაოს ბიუსტი

ტამბოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ტამბოვის მკვიდრის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ს. პეტროვის ბრინჯაოს ბიუსტი. ბიუსტი დგას სკვერში კარლ მარქსისა და კომუნალური ქუჩების კუთხეში ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს დაესწრო ქალაქის ასობით მშრომელი.

ნავთობი ოქტომბრის ანგარიშში

ხოჯიაბადი (ანდიჟანის ოლქი), 7 სექტემბერი. (საკდესი). ფერგანის ველის ყველაზე ახალგაზრდა ნავთობსარეწის — „ხოჯიაბადის“ სარეწის კოლექტივმა ახალ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია. მან „ანდიჟანნეფტის“ ტრესტში პირველმა შეასრულა 9 თვის პროგრამა და დაიწყო თხევადი სათბობის გამოშვება ოქტომბრის ანგარიშში.

სარეწის მენავთობეებმა გადასინჯეს თავიანთი წინანდელი სოციალისტური ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წლიური გეგმა შეასრულონ 15 ნოემბრისათვის.

★★

ნოვატორი ზეინკლის ორმოცდაათი გამოგონება

ლენინგრადი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ფოლადსაგლინავი და მავთულ-ბაგირის ქარხნის მუშათა შორის საუკეთესო გამომგონებლისა და რაციონალიზატორის სახელი მოიხვეჭა მემრუდთარგე ზეინკალმა ი. მ. სურიახინმა. მის მიერ შექმნილი ჩარხები და მექანიზმები საწარმოს თითქმის ყველა საამქროში მოქმედებს.

ზამბარის საამქროში ქარხნის მიერ დამზადებულ ჩარხებთან ერთად მუშაობს პატარა ავტომატი. მავთული შედის ამ ავტომატში და იქიდან უკვე რგოლის სახით გამოდის. ეს ავტომატი შექმნა ამხ. სურიახინმა. მისმა გამოყენებამ 10-ჯერ გაადიდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, ბევრად გაუმჯობესა დეტალების ხარისხი. აქვე მუშაობს ნოვატორის მეორე ავტომატი. ამ ავტომატით ბოლოებს უღუნავენ საათის ზამბარას. თუ წინათ მუშას ცვლაში შეეძლო სულ ბევრი 4 ათასი ზამბარა გაეკეთებინა, ჩარხის საშუალებით იგი 25 ათასზე მეტს უშვებს.

გუშინ საწარმოში ამუშავდა ფოლადის ლენტის საკრეული ახალი შტამპი, მისი შედეგიანობა ერთისამად აღემატება ძველი კონსტრუქციის შტამპებისას. ეს ზეინკალ ი. მ. სურიახინის ორმოცდამეათე გამოგონებაა.

წარმოებაში ნოვატორის ძვირფას წინადადებათა დანერგვამ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგა ქარხანას.

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები

მოსკოვი

9 სექტემბერს ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი — ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავი.

მოსკოვში გაიმართა დიდი რუსი მწერლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები. დამსწრეთა შორის არიან მოსკოვში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა კ. ა. ფედინმა.

დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ მოხსენება გააკეთა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კ. გუდზიმ.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

თბილისი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერალმა ლ. ქიაჩელმა.

ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა მწერალმა დ. შენგელაიამ.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა ნ. ნაკაშიძემ და ა. ბელიაშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ლენინგრადი. ვერა სლუცკაიას სახელობის ხაჩითავ ფაბრიკაში. სურათზე: მბატკარები ე. რ. გამბარიანი (მარცხნივ) და ვ. ვ. ნიკოლსკაია ათვალიერებენ ფაბრიკის მიერ მათი ნახატების მიხედვით დამზადებულ ქსოვილებს.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ციმლიანსკის ზღვაში

სტალინგრადი, 7 სექტემბერი (საკდესი). ციმლიანსკის წყალსაცავში გაუწყვეტლივ მრავლდება თევზი. მეცნიერულმა კვლევამ, რაც ამ უკანასკნელ ხანში მოეწყო, ერთხელ კიდევ დაადასტურა ახალი ზღვის ფაუნის სწრაფი განვითარება. აქ უკვე ახლა არის 70 კილოგრამამდე წონის თევზები.

ახალ თევზსარეწ რაიონში ვითარდება ძვირფასი ჯიშის თევზები. სანაპიროზე მდებარეობს სტალინგრადის ტრესტის მეთევზეთა კოლმეურნეობები, რომლებიც მეთევზეობის სახელმწიფო მეთვალყურეობის ინსპექციის ზედამხედველობით აწარმოებენ ძვირფასი ჯიშის თევზის მტრის-მტაცებელი თევზების: ქარიყლაპიას, ქორჭილას და ღლავის პროფილაქტიკურ ჭერას.

ბევრმა კოლმეურნეობამ აგვისტოში და სექტემბრის დამდეგს გადაჭარბებით შეასრულა თევზის ჭერის დავალებანი და წლიური გეგმის გადამეტებით დაიჭირა ასობით ცენტნერი ახალი თევზი.

შაქრის ჭარხლის შერჩევითი აღება

ვორონეჟი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ოლქის მეჭარხლეობის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო შაქრის ჭარხლის შერჩევითი აღება. მინდვრად იმუშავებს ჭარხლის ათასზე მეტი სამმწკრივა კომბაინი და ჭარხლის სათხრელი, ასობით მძლავრი ავტომანქანა.

ლ. ნ. ტოლსტოის დღეები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინეთი

შანხაი, 9 სექტემბერი. (საკდესი). შანხაის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს.

გაზეთმა „სინმინბაომ“ გუშინ მოათავსა სტატია სათაურით „რეალიზმის დიდი ოსტატი“. გაზეთმა „ვენხუეიბაომ“ გამოაქვეყნა ლ. ნ. ტოლსტოის იასნაია პოლიანის სახლ-მუზეუმის ფოტოსურათები. დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპეციალური სტატიები გამოქვეყნდა დღეს გაზეთებში „ძეფანყიბაოსა და „სინვენყიბაოში“.

სრულიად ჩინეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ასოციაციის შანხაის განყოფილებამ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქალაქო განყოფილებასთან ერთად დღეს გამართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი სხდომა.

ქალაქის ბიბლიოთეკებში გაიმართა ლ. ნ. ტოლსტოის რუსულ, ჩინურ და სხვა ენებზე დაბეჭდილ ნაწარმოებთა გამოფენები.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს გენიალური რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს.

გაზეთებმა „რუდე პრავომ“, „ობრანა ლიდუმ“, „პრაცემ“ და სხვებმა მოათავსეს ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიები.

გაზეთმა „რუდე პრავომ“ დაბეჭდა სარედაქციო სტატია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტოლსტოიმ დიდი გავლენა მოახდინა მთელ ჩეხოსლოვაკურ კულტურაზე და განსაკუთრებით მწერლებზე ალოის ირასეკსა და ზდენეკ ნეედლიზე.

ტოლსტოის უკვდავმა ნაწარმოებებმა, წერს გაზეთი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მაღალი შეფასება მიიღეს, ისინი სსრ კავშირის მშრომელთა უფართოესი მასებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრობისათვის ხელმისაწვდომი გახდნენ, ისინი ძვირფასი არიან ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის.

პოლონეთი

ვარშავა, 8 სექტემბერი. (საკდესი). ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებნი დიდად პოპულარულია სახალხო პოლონეთში.

მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებნი პოლონურ ენაზე გამოიცა ტირაჟით, რომელიც 500 ათას ცალს აღემატება. კერძოდ, „ომი და მშვიდობა“ გამოიცა 160 ათასზე მეტი ცალი ტირაჟით, „ანა კარენინა“ — 100 ათასი ცალი ტირაჟით და სხვ. დიდი ტირაჟებით გამოცემულია აგრეთვე „აღდგომა“, „სევასტოპოლის მოთხრობები“, „ჰაჯი მურატი“, „ბავშვობა“, „ყრმობა“, „ჭაბუკობა“, და ლ. ნ. ტოლსტოის სხვა ნაწარმოები.

ამჟამად პოლონეთში მზადდება ლ. ნ. ტოლსტოის თხზულებათა კრებულის ახალი გამოცემა.

რუმინეთი

ბუქარესტი, 8 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთში 1948-დან 1953 წლამდე დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებნი გამოიცა 244.500 ცალი საერთო ტირაჟით.

სიტყვის გენიალური ოსტატის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად რუმინეთში გამოდის მწერლის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი, რომანი „ანა კარენინა“, პიესების კრებული, მოთხრობები.

კორეა

ფხენიანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). სახალხო-დემოკრატიული კორეა აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს. გუშინ ფხენიანში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. ლევ ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ცნობილმა კორეელმა მწერალმა ხან სერ იამ.

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა ვონსანში, ხამხიუნში, სინიჯუში და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ბევრ საწარმოში. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების გამომცემლობამ იუბილეს დღისათვის გამოუშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა კრებული. გაზეთ „ჩოსონ მუნხვა“ გუშინ გამოსული ნომერი მთლიანად მიძღვნილია ტოლსტოის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. მასში მოყვანილია ვ. ი. ლენინის მიერ დიდი მწერლის შესახებ გამოთქმული აზრები, აგრეთვე გამოქვეყნებულია კორეელი მწერლებისა და კრიტიკოსების სტატიები ლ. ტოლსტოის შემოქმედების შესახებ.

მონღოლეთი

ულან-ბატორი, 9 სექტემბერი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს. საწარმოებში, კულტურულ დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მოწყობილია ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები. პედაგოგიურ ინსტიტუტში და მთელ რიგ საშუალო სკოლებში გაიმართა ლიტერატურული საღამოები მწერლის ნაწარმოებთა: „ომი და მშვიდობა“, „ჰაჯი მურატი“, „მეჯლისის შემდეგ“ მიხედვით. მონღოლეთის მწერალთა კავშირმა დასაბეჭდად მოამზადა მონღოლურ ენაზე თარგმნილ ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობათა კრებული.

დედაქალაქის ყველა გაზეთი ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს უძღვნის დიდ სტატიებს და ბეჭდავს ნაწყვეტებს მისი ნაწარმოებებიდან.

გამომგონებლები და რაციონალიზატორები

აუმჯობესებენ მოწყობილობის გამოყენებას

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის გამომგონებლები და რაციონალიზატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან წუნის შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. მიმდინარე წლის ექვს თვეში დანერგილია 42 გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა რთვის, ქსოვისა და ქსოვილთა გამოყვანის ტექნოლოგია. ეს ღონისძიებები საწარმოს წლის განმავლობაში 870 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

განხორციელებული წინადადებებიდან საყურადღებოა საქსოვი საამქროს უფროსი ოსტატის ა. სურიელაშვილის რაციონალიზატორული წინადადება. საქსოვი დაზგის სახსრების მამოძრავებელი დანა 10 დღეში ცვდება და იწვევს მანქანის 3 საათით გაჩერებას. ოსტატმა სურიელაშვილმა დანაში ჩასვა დამატებითი ფირფიტა, რითაც მისი მუშაობა 3 თვემდე გახანგრძლივდა, გაცვეთის შემთხვევაში კი მის გამოცვლას მხოლოდ 5 წუთი სჭირდება. ამ ტექნიკური სიახლის შედეგად საწარმო წლის განმავლობაში 27 ათას მანეთ ეკონომიას მიიღებს.

საქსოვ დაზგაზეა ეგრეთწოდებული მებრძოლი სამკუთხედი. მასში გაყრილია შპინდელი, რომელიც სამკუთხედთან ერთად მოძრაობს მთავარ ჩარჩოში. მის გამოცვლას სჭირდება 16 საათი. ოსტატმა სურიელაშვილმა შპინდელი ჩარჩოზე დაამაგრა უმოძრაოდ, ისე, რომ შპინდელზე მოძრაობს მხოლოდ მებრძოლი სამკუთხედი. ამის გამო ახლა ჩარჩო აღარ ცვდება და დაზგის მოცდენა მარტო ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად წლის განმავლობაში 32 საათით შემცირდა.

საუკეთესო შედეგი გამოიღო აგრეთვე ახალგაზრდა ინჟინრის ვ. გამყრელიძის რაციონალიზატორულმა წინადადებამ, რამაც 4 პროცენტით შეამცირა სართავი მანქანის მოცდენა და მაქსიმალურად გაზარდა მისი წარმადობა.

ახალგაზრდა ინჟინერი ამუშავებს ახალ წინადადებას, რომლის განხორციელებით მანქანების მოცდენა საგრძნობლად შემცირდება.

საყურადღებო ღონისძიება განახორციელა ოსტატის თანაშემწემ ა. დაუშვილმა. მან მატყლის საჩეჩი მანქანების მუშა ნაწილების ლესვის დრო 12 საათით შეამცირა. ამ ღონისძიების განხორციელებით ფაბრიკა წლიურად დამატებით მიიღებს ათეულ ტონობით დაჩეჩილ მატყლს.

დიდი ეფექტი მისცა წარმოებას ს. იაკობაშვილის, ი. ივანიშვილის, ს. ნოვიკის, დ. ხვედელიძის და სხვების მთელმა რიგმა სხვა წინადადებებმა.

მნიშვნელოვანი წინადადება

თითქმის ყოველდღიურად ნერგავენ წარმოებაში ნოვატორულ წინადადებებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის რაციონალიზატორები.

ელექტროტურბინის კონდენსატორის შეკეთება-გაწმენდის დროს აუცილებელი იყო ტურბინის გაჩერება. ამის გამო ტურბინი წლის განმავლობაში 189 საათს ჩერდებოდა და დიდძალი ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობას ჰკარგავდა.

თბოელექტროცენტრალის უფროსმა რ. მონასელიძემ, მთავარმა ინჟინერმა მ. ბარბაქაძემ, ტურბინის საამქროს უფროსმა ვ. რომანიუკმა და საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსმა ი. ეფრემოვმა შეიტანეს რაციონალიზატორული წინადადება, რომლის საფუძველზე ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა კონდენსატორის რეკონსტრუქცია. კონდენსატორს მთელ სიგრძეზე შუაში ჩაუდგეს ლითონის ფირფიტა, რითაც ერთმანეთისაგან მთლიანად იზოლირებულია კონდენსატორის ორთქლის გამაცივებელი მილები. ამასთან იზოლირებულ ნაწილებს ცალცალკე გაუკეთეს მჭიდროდ დასახური სარქვლები. ამჟამად შეკეთება-გასუფთავების დროს ხსნიან კონდენსატორის მხოლოდ ერთ ნაწილს, მეორე კი უწრუნველყოფს ტურბინის შეუფერხებელ მუშაობას.

ამ რაციონალიზატორული წინადადების წარმოებაში დანერგვა ენერგეტიკოსებს წელიწადში 150.000-მდე მანეთს დაუზოგავს. (საკ. კორ.).

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და საწარმოო რეზერვების გამოყენება

გ. მ. დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (ჭიათურა) მიმდინარე სამეურნეო წელი ცუდად დაიწყო. არ სრულდებოდა დავალება. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა იყო პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებაში. მექანიზმებს მაქსიმალური დატვირთვით ვერ იყენებდნენ. სანგრევებში მოუწესრიგებელი იყო შრომა, მასალებს, ელექტროენერგიას უყაირათოდ ხარჯავდნენ. ამგვარად, მთლიანად არ იყო გამოყენებული წარმოების შინარეზერვები და შესაძლებლობანი. დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. იზრდებოდა პროდუქციის თვითღირებულება.

პარტიულმა კრებამ განიხილა პირველი კვარტალის შედეგები და ახალი ამოცანების საკითხი. მოხსენება გააკეთა მაღაროს დირექტორმა შ. ახვლედიანმა.

მაღარომ მარგანეცის გამოშვების პირველი კვარტალის დავალება 98 პროცენტით შეასრულა, აქედან პირველი ხარისხის მარგანეცისა — 95,3 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ მადნის გამაუხვებელი ფაბრიკები, ვერ იცავდნენ ტექნოლოგიურ პროცესს. მოუწესრიგებელი იყო შრომა და მექანიზმების გამოყენება, ამის შედეგად დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. უყაირათო მუშაობით პირველ კვარტალში გადაიხარჯა 131.000 მანეთი. არც სოციალისტურ შეჯიბრებას და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს უბნების გამგეებმა დ. ფალავანდიშვილმა, კ. სებისკვერაძემ, კ. მჭედლიშვილმა, ინჟინრებმა გ. ასათიანმა, თ. გოგიჩაიშვილმა, ზ. პატარიძემ, სტახანოველებმა კ. ღავთაძეს, გ. ბიბიაშვილმა, პარტბიუროს მდივანმა ბ. მახათაძემ. მათ დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთეს ჩამორჩენის მიზეზებს.

აპრილსა და მაისში მაღაროელმა კომუნისტებმა ცალკე იმსჯელეს მექანიზმების გამოყენების, მადნის გამაუხვებელი ფაბრიკების მუშაობის, მადნის პირველადი გაუხვების, გამომგონებლობა-რაციონალიზაციის, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების, მომჭირნეობის საკითხებზე. დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

მაღაროს მთელმა კოლექტივმა კომუნისტების მეთაურობით დაიწყო ბრძოლა ჩამორჩენის გამოსასწორებლად, წარმოების შინარეზერვების გამოვლინება-გამოყენებისათვის, მეტი და პირველხარისხოვანი მარგანეცისათვის.

მადნის გამაუხვებელ ფაბრიკაში პირველი ხარისხის მარგანეცის გამოსავლის გადიდების მიზნით დაიდგა სპირალური კლასიფიკატორი და შემსქელებელი კონუსი. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმადობა. ფაბრიკა ამჟამად ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით 800 ტონა მარგანეცს იძლევა.

გამაუხვებელ ფაბრიკაში დაიდგა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მექანიკური კლასიფიკატორი და მაღალი სიხშირის სალექი მანქანა, რითაც პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება 5 პროცენტით გაიზარდა.

მაღაროში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მადნის სელექციური მეთოდით გამოღებას და პირველადს გაუხვებას. ამით საგრძნობლად გაუმჯობესდა გასარეცხი მადნის ხარისხი და საბოლოო ანგარიშით პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოშვება.

მაღაროში გადაკეთდა კარბონატული მადნის საჰაერო ჩამოსაშვები, რამაც დააჩქარა სანგრევებიდან მადნის გამოზიდვა, მოაწესრიგა შრომა და გაზარდა წარმადობა.

წინათ უბნებში მასალების მიწოდება ფერხდებოდა. ეს ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას, ზრდიდა მადნის თვითღირებულებას. კომუნისტი ინჟინრის გ. ასათიანის წინადადებით გადაკეთდა მასალების ამწევი საჰაერო გზა, რითაც ორჯერ გადიდდა მისი გამტარუნარიანობა, დაჩქარდა მასალების მიწოდება. ამ ღონისძიებით წლიურად 300.000 მანეთი იზოგება.

მეექვსე უბანში მჩატე, ფორებიანი მადნის ჩამოსაშვების ცალი მხარე გადაკეთდა მაღაროსათვის აუცილებელი მასალების გადასატანად, რამაც დაჩქარა მასალების გადაზიდვა და ხელი შეუწყო უბნის წარმადობის გაზრდას.

მაღაროში სპირაქოების სამართავად გამოყენებულია გამაგრების ახალი მეთოდი, რითაც მიღწეულია მუშახელისა და სამაგრი მასალის დიდი ეკონომია. ამ ღონისძიების გატარებით მაღაროში ყოველწლიურად 500.000 მანეთი დაზოგება. კომუნისტ გ. მიროტაძის წინადადებით მეორე უბანში აღებულ იქნა სამი ტუმბო. საქმე ისე მოაწყეს, რომ წყალი თვითდინებით მიდის. ეს იძლევა მუშახელისა და განსაკუთრებით ელექტროენერგიის დიდ მომჭირნეობას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მექანიზმის სრული დატვირთვით გამოყენებას. ამაღლდა მექანიზმებზე მომუშავე ამხანაგების კვალიფიკაცია. ამის შედეგად ივნის-ივლისში ელმავლები, ელექტრობურღები და ჯალამბრები გეგმას 105-110 პროცენტით ასრულებენ.

პარტიული ორგანიზაციის თაოსნობით დაინერგა ნოვატორი მბურღავის კ. ნადირაძის მეთოდი. ბურღვის ოსტატის ამ ახალ მეთოდს ბევრი მბურღავი დაეუფლა და სანგრევი ხაზის წინსვლას ერთიორად ზრდიან. სოციალისტური შეჯიბრება უფრო მასობრივი გახდა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, შინარესურსების უკეთ გამოყენებით მაღაროს კოლექტივმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ივნისის დავალების ყველა მაჩვენებელი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ერთ თვეში დაზოგილა 176.300 მანეთი. მაღაროს კოლექტივმა უკეთ იმუშავა ივლისსა და აგვისტოში — ვადამდე გაანაღდა გეგმის ყველა მაჩვენებელი, გადაჭარბებით შეასრულა პირველხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების დავალება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მაღაროს კოლექტივმა და მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი გააკეთეს შინარეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამ მიმართულებით ენერგიული მუშაობა კვლავ უნდა გაგრძელდეს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი თ. ტულუში, რომელიც ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

★

რთველი დაიწყო

საჩხერე, 10 სექტემბერი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო შამპანური ჯიშის ყურძნის კრეფა.

ყურძნის კარგი მოსავალია სოფელ საირხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ თვითეულ ჰექტარზე მოკრეფილ იქნება 50 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი. კოლმეურნეებმა აკისრეს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 40 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფას და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ სავანის სტალინის სახელობის, არგვეთის ლენინის სახელობის, სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები. სამ დღეში სახელმწიფოს ჩააბარეს 100 ტონაზე მეტი ყურძენი.

ყურძნის გადამუშავების სეზონს მომზადებული შეხვდა შამპანკომბინატის საჩხერის ღვინის ქარხანა. წელს აქ ყურძნის საწნეხებში მიწოდება მოხდება საჰაერო საბაგირო გზით და ავტოებით. მექანიზაციის ეს სახე პირველია საქართველოს ღვინის მრეწველობაში. წელს დამატებით აშენდა აგრეთვე 30 ათასი დეკალიტრის ტევადობის რეზერვუარები. ქარხანა გეგმის გადამეტებით 500 ტონა ყურძენს გადაამუშავებს.

მოწინავე მყნობელები

ცხაკაიას ხეხილის სახელმწიფო სანერგის კოლექტივმა დაამყნო 110 ათასი ძირი ხეხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 108 ათასისა. შუშანა ხეჩოიანმა და ნორა ჩალაძემ დაამყნეს 1.600-1.800 ძირი ნაცვლად 700-სა. კარგად მუშაობენ მყნობელები რაია დონჩენსკაია, ბ. პეტროსიანი, მ. სისვაძე და მ. ხეჩოიანი.

ს. კუჭავა.

გაზეთების ფურცლებზე

ახალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, რომელსაც არსებობის სულ რაღაც ერთი წლის ისტორია აქვს. ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობა ფართოდ ცნობილი გახდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მიმდინარე წლის იანვრიდან მისაღები გამოცდების დაწყებამდე ინსტიტუტის დირექციამ 400-ზე მეტი განცხადება და შეკითხვა მიიღო მარტო რსფს რესპუბლიკის ოლქებიდან, უკრაინის, ბელორუსიის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ქალაქებიდან და რაიონებიდან, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან.

„საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის, — წერს ქუთაისის საქალაქო გაზეთი „სტალინელი“, — ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ერთადერთია, რომელსაც აქვს სუბტროპიკული მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტები. 1953-1954 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტში შესვლის მსურველთა განსაკუთრებული სწრაფვა სწორედ ამ ორ ფაკულტეტზე აღინიშნა. მარტო სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე შესვლის სურვილი წელს განაცხადა 680 კაცზე მეტმა“.

მაგრამ როგორც გაზეთი აღნიშნავს, ინსტიტუტს ჯერ კიდევ არა აქვს იმის საშუალება, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლით. ეს საკითხი დიდი ყურადღების ღირსია, მათ უფრო, რომ ინსტიტუტში ჩარიცხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოსულია ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქებიდან და რაიონებიდან.

სამი კილოგრამი მარცვლეული ავანსად

თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს წელს ქარელის რაიონის სოფელ ღუთეთის კოლმეურნეობაში. მემინდვრეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც გ. კოზანაშვილი ხელმძღვანელობს, 55 ჰექტარი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 18 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო 10 ჰექტარ მაღალმოსავლიან ფართობზე — საშუალოდ 22 ცენტნერი.

როგორც რაიონული გაზეთი **„ქარელის კოლმეურნე“** იუწყება, კოლმეურნეობამ დიდი ხანია შეასრულა პურის დამზადების გეგმა, გამოჰყო სათესლე მასალა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ფონდები. დაიწყო შრომადღეებზე მარცვლეულის ავანსად გაცემა. თვითეულ შრომადღეზე ავანსად არიგებენ 3 კილოგრამ მარცვლეულს. კოლმეურნე მ. ელანდიშვილის ოჯახმა ავანსად 1.750 კილოგრამი მარცვალი მიიღო, დ. ფილიშვილისა და ბ. მარღიშვილის ოჯახებმა — თვითეულმა 1.600 კილოგრამზე მეტი.

წინასწარი ვარაუდით, წერს გაზეთი, ღუთეთის კოლმეურნეობაში წელს თვითეული შრომადღის ხვედრი 6 კილოგრამ მარცვლეულსა და ფულად 5 მანეთს გადააჭარბებს.

აგიტმხატვრული ბრიგადა მწყემსებთან

ქცია-ნარიანის საძოვრებზე მყოფ მწყემსებს ამას წინათ ესტუმრა ბორჯომის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა 16 კაცის შემადგენლობით. პირველ ღღეს ბრიგადა მოემსახურა ხაშურის რაიონის მწყემსებსა და საკოლმეურნეო ფერმის სხვა მუშაკებს. ბრიგადაში შემავალმა აგიტატორებმა გამოუშვეს საველე ფურცლები, ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს აგრონომი ო. ციციშვილი კოლმეურნეებს ესაუბრა მეცხოველეობის მუშაკთა ამოცანებზე. მოცეკვავეებმა მწყემსებს უჩვენეს ოვიანთი ოსტატობა.

როგორც წერს ბორჯომის რაიონული გაზეთი **„კომუნიზმის დროშით“**, აგიტმხატვრული ბრიგადა მოემსახურა აგრეთვე საძოვრებზე მყოფ წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებს, ახალქალაქელ და ტაბაწყურელ მწყემსებს, მეცხოველეობის საკვლევი ინსტიტუტის უდაბნოს საცდელ-სასწავლო მეურნეობის მწყემსებსა და სპეციალისტებს.

ყველგან, სადაც კი იყვნენ აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები, მათ კოლმეურნეთა დიდ მადლობა დაიმსახურეს.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ყურადღება სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს

რედაქციაში შემოვიდა სიგნალი იმის შესახებ, რომ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში ყურადღება არ ექცევა სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. ბიბლიოთეკას საჭირო ინვენტარი არა აქვს, მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ ბინაში, რომელიც შეკეთებას საჭიროებს. კლუბის შენობა იმდენად დაზიანებულია, რომ შიგ შესვლა სახიფათოა.

სიგნალი მთლიანად დადასტურდა. წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გვაცნობა, რომ კლუბისა და ბიბლიოთეკის შესაკეთებლად გამოიყო 30.000 მანეთი. ბიბლიოთეკის შეკეთება უკვე დამთავრდა. იგი მომარაგებულ იქნა საჭირო ინვენტარით.

უკეთესად მოვემსახუროთ დამსვენებლებს

საირმე ცნობილი კურორტია ჩვენს რესპუბლიკაში. იქ ბევრი მშრომელი ჩადის დასასვენებლად. მაგრამ მათი მომსახურება არადამაკმაყოფილებელია. კურორტი საკმაოდ არ მარაგდება კვების პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით. სუსტია კულტურული მომსახურება, — გვატყობინებდა ჩვენი გაზეთის მკითხველი ვ. დოლონაძე.

წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარ სამართველოს. სამმართველოს უფროსმა ამხ. ს. ცომაიამ გვაცნობა, რომ მიღებული ღონისძიების შედეგად საირმეში მდგომარეობა გამოსწორდა. კურორტზე საკმაო რაოდენობით გაგზავნა კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონელი. დამთავრდა კინოს ახალი შენობის აგება. იქ ახლა სისტემატურად ეწყობა კინოსურათების დემონსტრაცია. ბიბლიოთეკა შეივსო პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

ავტობუსების ახალი გაჩერება

თბილისში ავტობუსების გასაჩერებელი ყველა ადგილი გონივრულად არ არის შერჩეული. ამის გამო ხშირად დედაქალაქის მშრომელებს 2-3 კილომეტრის გავლა უხდებათ ფეხით უახლოეს გაჩერებამდე, — გვწერდა ჩვენი გაზეთის მკითხველი შ. ჟორჟოლაძე. იგი ფაქტის ნთელსაყოფად ასახელებდა თბილისი-დიღმის მარშრუტის ავტობუსთა მოძრაობას: ამ მარშრუტის ავტობუსები არ ჩერდებიან ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის შენობასთან.

რედაქციამ ეს საკითხი დააყენა საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის სამინისტროს წინაშე. ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის თანამშრომლებისა და უბნის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ამ ინსტიტუტის წინ დაწესდა ავტობუსების გაჩერება.

აგრონომი ტრიფონ ცაგარეიშვილი

ლეილა აღტაცებული დაბრუნდა სკოლიდან. პირველად უღალატა მისთვის დამახასიათებელ თავმდაბლობას. მარჯვენა ხელი, რომელშიც საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი ეკავა, მაღლა აეწია. კარი მოურიდებლად შეაღო და შინაურებს ამაყად გადახედა. დამხდურებმა მიუღოცეს.

ამ ღამეს საოჯახო თათბირი გაიმართა.

ლეილა წინათ ხან ერთ დარგს ამოირჩევდა ხოლმე, ხან მეორეს. ბოლოს კი აღარაფერს ამბობდა. მშობლებიც ძალას არ ატანდნენ — კარგია ყველა საქმე. ის ირჩიე, რაც გულს უნდა!

და აი დადგა დღე, როცა საჭირო იყო პირდაპირი განცხადება.

ლეილამ შორიდან დაიწყო. ლაპარაკობდა უანგების, მდელოების, პლანტაციების შესახებ. თეთრ ლექსს გავდა მისი ნათქვამი. ოთახში თითქოს მინდვრების დამთრობელი სურნელი შემოიჭრა. შინაურები უსმენდნენ ყველაზე უმცროსს.

მამა სხვებზე ადრე, მიუხედა შვილს, გული სიხარულით აევსო. უნდოდა მოხვეოდა ჯერ კიდევ ბავშვივით მოეკოცნა. გოგონამ დაასწრო და მამის მკერდს მიეყრდნო.

— აი მამის ხალათს კვლავ მოჰყოლია ყანის სურნელი!

იმ დღეს ტრიფონ ცაგარეიშვილის ოჯახის ყველა წევრმა შეიტყო ლეილას მტკიცე გადაწყვეტილება:

— მინდა აგრონომი გავხდე!

შვილის არჩევანით ყველაზე მეტად მამა იყო გახარებული.

ახლა ლეილა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს. მეოთხე კურსზეა. მალე მიიღებს დიპლომს. ელოდებიან მას მინდვრები, ახალი ადამიანები, წარმტაცი საქმეები.

შემთხვევითი არ ყოფილა ლეილა ცაგარეიშვილის მიერ გაკეთებული არჩევანი. იგი პატარობიდანვე მოხიბლა აგრონომი მამის საქმიანობამ. აედევნებოდა მინდვრისაკენ მიმავალ მშობლს. თავდაპირველად მას ყველაზე მეტად ტოფრა ყვავილების და ყანების იდუმალი სიმღერა მოსწონდა. მოუწყენრად უსმენდა ხოლმე ლაყვარდში ამაღლებული ტოროლების გალობას ან მტრედების ღუღუნს. წამოიზარდა და მისი ყურადღება ახლა მიწასთან ადამიანის დამოკიდებულებამ მიიპყრო. სოფლის მშრომელები უსმენდნენ ლეილას მამას, ეკითხებოდნენ, ნდობითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ მის სიტყვას. გოგონას შეგნება დაიპყრო გამაკეთილშობილებელმა მისწრაფებამ — როცა გაიზრდებოდა მიებაძა მამისათვის, ეკეთებინა მაღლიანი, მამაცური საქმე. ამან აგრონომ ტრიფონ ცაგარეიშვილს ღრმა კმაყოფილება განაცდევინა.

განა მარტო შვილის გულში აღძრა ტრიფონ ცაგარეიშვილმა აგრონომის ძვირფასი, პერსპექტივული პროფესიისადმი სიყვარული! ადამიანები თვალყურს ადევნებენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის სამაგალითო მებრძოლს. ხედავენ, თუ რა ბედნიერება მიუნიჭებია სამშობლოს უბრალო მოქალაქისათვის ამ პროფესიას. აკვირდებიან აგრონომის როლს და ეს პროფესია საყოველთაო სიყვარულით არის გარემოსილი.

ტრიფონ ცაგარეიშვილს ახარებს, რომ ახლა უკვე მასები ეწაფებიან აგრონომიულ ცოდნას. მოხერხებულად იმარჯვებენ ბუნების ამ გარდამქმნელ იარაღს, ახალ ეშხს და სიცოცხლეს მატებენ მშობლიურ მიწა-წყალს.

* * *

ჯერ კიდევ ომი იყო. 1944 წელი. ფრონტიდან ზედიზედ მოდიოდა გამარჯვების ამბები. კოლმეურნენი საღამოთი კანტორაში იკრიბებოდნენ. მათ ჩვეულებად ექცათ, რომ ყოველდღე მოესმინათ ცნობები ფრონტზე ჩვენი მამაცი ჯარების წარმატებათა შესახებ.

ერთი ასეთი, ჩვეულებრივი საღამო იყო.

საერთო ოთახში, რომელიც ხალხით იყო სავსე, კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტიდან ახალგაზრდა შემოვიდა.

— თავმჯდომარესთან კაცია მოსული. მგონი ჩვენთან იწყებს აგრონომად მუშაობას — შემოსვლისთანავე განაცხადა მან.

ყველა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ფანჯრიდან შეიხედეს. საშუალზე ოდნავ დაბალი, ხანში შესული მამაკაცი მშვიდად ელაპარაკებოდა თავმჯდომარეს.

რამდენიმე დღის შემდეგ კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვა აიღო აგრონომმა:

— ჩვენი სოფელი, თვითეული ჩვენგანი უნდა დადგეს უხვი მოსავლისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე...

ამ მომენტისათვის ტრიფონ ცაგარეიშვილს აგრონომად მუშაობის თორმეტი წლის გამოცდილება ჰქონდა.

კოლმეურნეები მალე დარწმუნდნენ, რომ ახალმოსული ზოგიერთივით არ არის გატაცებული საკანცელარიო საქმეებით. იგი ძირითადად მინდვრად, კოლმეურნეებთან არის. არის იქ, სადაც უშუალოდ წყდება უხვი მოსავლის ბედი.

აგრონომმა კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადები უფრო დაუახლოვა მექანიზატორებთან. იგი ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენდნენ მისდამი კოლმეურნეები, ყოველთვის ცდილობდა ნათქვამი საქმით გაემაგრებინა, მოეპოვებინა ნდობა, რაც საჭირო იყო მომავალში ახალ აგროღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

აი კოლმეურნეები და მექანიზატორები ფართობის ერთ ნაწილზე საშემოდგომო თესვას ჯვარედინად აწარმოებენ. ეს პირველად ხდება სოფელში. აგრონომი კოლმეურნეებს მოუთხრობს ასეთი ღონისძიების უპირატესობაზე — ფართობი ნორმალურად იტვირთება. თვითეულ მცენარეს კვებისათვის თანაბარი მოედანი რჩება.

პირველ წელს ორმოც ჰექტარზე აწარმოეს ჯვარედინი თესვა. ნათესმა განვითარება უკეთესად დაიწყო, ხოლო როცა მოსავალი აიღეს, ჯვარედინად ნათესი ფართობის თვითეული ჰექტარიდან ორი ცენტნერით მეტი პური აიღეს, ვიდრე ჩვეულებრივად ნათესი ჰექტარიდან. ოთხმოცი ცენტნერი პური დამატებით მიიღო სოფელმა ამ ღონისძიების განხორციელებით.

შემდგომ წლებში ჯვარედინად ნათესს სულ უფრო და უფრო მეტი ფართობი ეთმობოდა. შარშან შემოდგომაზე ჯვარედინად უკვე ოთხასი ჰექტარი დათესეს. ამის შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობამ 1952 წელთან შედარებით მიმდინარე წელს ჰექტარზე 6 ცენტნერით მეტი პური მიიღო. ეს ხომ შესანიშნავი წარმატებაა ერთი წლის მანძილზე!

აგროღონისძიებათა ზუსტად დაცვის შედეგად ასევე იზრდება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

* * *

წინადღით ტელეფონით დავუკავშირდი სოფელს.

კოლმეურნეობის კანტორიდან მოკლედ მიპასუხეს — მინდორშია!

აგრონომ ტრიფონ ცაგარეიშვილს უნდა შევხვედროდი. კარგად ვიცნობ. მრავალჯერ მინახავს ველად. ბევრი თბილი სიტყვა მსმენია ტრიფონის შესახებ. მთელი სოფელი პატივს სცემს. უყვართ თავმდაბალი, ამასთან მხნე და ენთუზიასტი კაცი, რომელიც სპეტაკი, გონიერი შრომით უფრთხილდება უმაღლესი ჯილდოსავით მოპოვებულ ამ პატივისცემას და სიყვარულს.

მეორე დღეს, დილით, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მივედი. აქ მუშაობს აგრონომი.

სოფელში პირველად კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანს ილია ბორცვაძეს შევხვდი. იგი სიყვარულით გეელაპარაკა აგრონომის შესახებ:

— „ჩვენებური“ გახდა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. მან ბევრი რამე გაუკეთა ჩვენს სოფელს. სამაგალითო და დასაფასებელი კაცია.

აგრონომიც გამოჩნდა. მდივანმა უმალ შეცვალა საუბრის თემა. იგი კარგად იცნობს ტრიფონს ხასიათს — „ქება არ უყვარს.

აგრონომს ხელში ეჭირა ორი მომცრო პარკი სათანადო წარწერებით:

— ეს თესლის ნიმუშებია, ლაბორატორიაში ვგზავნით შესამოწმებლად.

კოლმეურნეობის საწყობთან შევჩერდით. აგრონომი დაინტერესდა მარცვალსაწმენდის მუშაობით.

— სანდრო, როგორ მიდის საქმე? — ეკითხება აგრონომი სანდრო ბეციკაძეს, რომელიც მარცვალსაწმენდ მანქანას მართავს.

კოლმეურნემ პასუხის ნაცვლად მანქანას პეშვი შეუშვირა, იქიდან გადმსხლული ხორბლით აივსო და აგრონომს გაუწოდა. აგრონომმა ერთი მუჭა ხორბალი აიღო. ხელი შეატრიალა, გაშალა, დააცქერდა. მერე მეორე ხელისგულზე გადაიყარა ხორბალი.

— ხშირხშირად შეამოწმე გაწმენდილი მარცვალი. — ურჩევს აგრონომი სანდროს, — ვერც ერთმა სარეველამ ყეღარ უნდა გაიპაჭანოს ჩვენს მინდორში.

— მანქანა ელექტროენერგიით მუშაობს. ეგ არის, ფხიზლად ადევნე თვალყური, რომ რაიმე ნაწილი არ მოიშალოს. სხვა მხრივ ახლა ძალზე კმაყოფილებულია ადრე მეტად ძნელი სამუშაო — მარცვლის გაწმენდა, — განაცხადა სანდრომ და იქვე შეკრებილ კოლმეურნე ქალებს სალომე ცოტნაშვილს, მათიკო ბერუაშვილს, ზენო ცოტნაშვილს გადახედა. ვინ იცის, რამდენჯერ უმუშავიათ მათ ცხრილებით ხორბლის გაწმენდაზე. დიდი ჯაფისაგან მკლავები სტკიოდათ. ახლა ამ ერთმა მანქანამ რამდენი ქალის შრომა შეამსუბუქა!

მალმალე იღებს გაწმენდილ მარცვალს აგრონომი, დაკვირდება და ფიქრს მიეცემა. გონების თვალით წარმოიდგენს, თუ როგორ მოხდება უახლოეს ხანში ეს მარცვალი ნიადაგში, რომ ახალი ძალით გაიღვიძოს, ახალი, მდიდარი სიცოცხლით დაამშვენოს მიწა.

გულდასმით გაწმენდილი დოლის პური თითქმის ბრწყინავს მზეზე. იგი მზად არის ახალი სიცოცხლისათვის.

ხანდახან ნიავი დაუბერავს ხოლმე მინდვრებიდან და იქიდან სოფლამდე მოაქვს ტრაქტორების გუგუნი. მექანიზატორები ხათესად ამზადებენ ფართობს. მათთან ხშირად არის აგრონომი. ჩადგება ნახნავში, გამართავს საუბარს. ერთგან გაზომავს, მეორეგან, მესამეგან... მექანიზატორები ერთმანეთს თვალს ჩაუკრავენ ხოლმე, — აგრონომს სალაპარაკო მასალა აღარ მოეცითო.

მექანიზატორებმა გაიხსენეს: წინა წლებშიც ხდებოდა ასეთი ამბები. უსიამოვნებასაც იწვევდა მინდორში აგრონომის გამოჩენა. თავისებური ხიარული იცის ტრიფონმა. შევიცნობდით თუ არა, რომ იგი ჩვენკენ მოდიოდა, ზომაზე მეტად დავალრმავებდით გუთანს. ტრიფონი კი აგერ სხვაგან გაჩიჩქნიდა მიწას ხან ბარვეზს აღმოაჩენდა, ხან ზერელე ნახნავს. მოიწევედა ხალხს მტს-ოდან, კოლმეურნეობიდან. პირდაპირ განგაშს აატეხდა ხოლმე. ჩვენ მაშინ, უნდა ითქვას, მოშვებული ვიყავით, აგრონომის სიმკაცრე გადაჭარბებულად გვეჩვენებოდა, მაგრამ გაკიცხვას სცვლიდა მამაშვილური, გულითადი საუბარი. დაგვარწმუნა, რომ უდარდელობის ნაშთები ღრღნიდნენ ჩვენს ვაჟკაცობას. თვალი გავუსწორეთ აგრონომს. ნიადაგის ხელმეორედ გადახვნისაგან რომ თავი დაგვეღწია, ვმუშაობდით გულდადებით, საკუთარ თავს მეტი მოთხოვნა წავუყენეთ. საქმე უკეთ მოეწყო.

ქსუსის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ანდრო ბერუაშვილმა ღიმილით შენიშნა — აგრონომის ნდობა მოვიპოვეთ, მაგრამ იგი მაინც ხშირად გვამოწმებს ხოლმეო.

ტრაქტორისტებს სერგო არჩვაძეს და ლადო ბერუაშვილს სამუშაოთა ხარისხის შესახებ არაერთხელ მოსვლიათ დავა აგრონომთან. დარწმუნდებოდნენ რა თავიანთ უსაფუძვლო სიჯიუტეში, ახალგაზრდები აგრონომს სთხოვდნენ — ყველაფერს შეგისრულებთ, ოღონდ ნაწყენი ნუ დარჩებიო.

— საქმეში წყენა და შეხლა-შემოხლა ზოგჯერ საჭიროც არის, მარტო ძლიერი მკლავი და ოფლის ღვრა როდია საკმაო, შეგნებულად უნდა ვმუშაობდეთ. — ესმოდათ ახალგაზრდებს პასუხი.

კოლმეურნეები, მექანიზატორები ყურადღებით ეკიდებიან აგრონომის ყოველ რჩევას.

* * *

აგრონომის უპირველესი საზრუნავია ნათესების მოვლის მეცნიერული ცოდნა შეიტანოს მასებში. სოფელში მოწყობილი იყო სამწლიანი აგროტექნიკური კურსები. მას ტრიფონ ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდა. მრავალი კოლმეურნე სწავლობდა ამ კურსებზე. ძვირფასი ცოდნა შეიძინეს. ისინი ახლა უფრო მიუხვდნენ ნიადაგს, თითქოს საერთო ენა გამონახეს მასთან. იტყვიან ამდენი მოსავალი უნდა მივიღოთო და მიიღებენ. სიამოვნებას განიჭებს კოლმეურნეების მსჯელობა მცენარის მოვლის წესებზე. გიხარია, როცა ხედავ, როგორ გაიზარდნენ ადამიანები. როგორ უხამენენ ისინი ერთმანეთს მიწათმოქმედების თეორიას და პრაქტიკას.

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ივანე ეუნანაშვილმა აგრონომის ხელმძღვანელობით სამწლიანი კურსები დაამთავრა. მიღებული ცოდნა სერიოზულ ძალად აქცია. მიმდინარე წელს მისმა ბრიგადამ წინა წელთან შედარებით 600 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღო. შაქრის ჭარხლის მოსავალი შარშანდელს ერთიორად გადააჭარბებს. ბრიგადამ კარგად მოუარა სიმინდის კულტურას. ჰექტარზე 28 ცენტნერ სიმინდს ელოდებიან. ბრიგადირი ხშირად მიმართავს აგრონომს. უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საკითხს სამთან ერთად ჭრის. მტკიცდება ბრიგადირის ხასიათი. იგი ავლენს ახალ რეზერვებს და გაბედულად მიჰყვება უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა ლაშქარს.

აგრონომმა იცის, რომ ცოდნას მუდმივი სრულყოფა ესაჭიროება. მისი სამაგიდო წიგნებია დოკუჩაევისა და ვილიამსის შრომები. ფოსტალიონს ტრიფონ ცაგარეიშვილის ბინაზე ყოველდღიურად მოაქვს ახალი ეურნალ-გაზეთები. აგრონომი ყოველთვის შოულობს მისთვის საინტერესო ლიტერატურას. საკითხების გაცნობის დროს ფიქრობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ახლის დანერგვა ადგილზე. სოფლის მინდვრები თავიანთი ნიადაგის თავისებურებებით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთ ფართობში ერთი მეთოდით უნდა მუშაობა, მეორეში — მეორით: საერთო საზომი ნაკლებად სასარგებლოა. ყველგან ვერ გასწვდები. ამიტომ კოლმეურნეს უნდა მისცე ცოდნა, რომ მან გამოიცნოს ნიადაგის განლაგება, გამოიჩინოს გამბედაობა, ხელი შეუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის მუშაკთა თათბირი

თელავლა. („კომუნისტის“ კორ.). ბოლოს ძირეული და რაიონული პრესის მუშაკთა თათბირი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებთან და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებთან ერთად.

თათბირმა მოისმინა რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო სოფლის“ რედაქტორის ვ. რობაქიძის მოხსენება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ძირეული და რაიონული პრესას მუშაკთა ამოცანების შესახებ.

როგორც თათბირზე აღინიშნა, რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო სოფელს“ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. გაზეთს შემოკრებილი არა ჰყავს კორესპონდენტთა და მკითხველთა ფართო აქტივი. საკმაო ადგილი არ ეთმობა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას; საკოლმეურნეო კოლმეურნეო გაზეთები სუსტად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო რაიონული გაზეთი არადამაკმაყოფილებლად ეხმარება მათ.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ავეჯი სკოლებისათვის

რკინიგზის ბევრმა სკოლამ წელს დიდძალი ახალი ინვენტარი — მერხები, ლაბორატორიის მაგიდები, საკლასო დაფები და სხვა საკლასო ნივთები მიიღო. მათი დიდი ნაწილი დაამზადა ამიერკავკასიის რკინიგზის საავეჯო ფაბრიკის კოლექტივმა. ინვენტარი გაგზავნათ თბილისის, სუხუმის, გორის, ოჩამჩირის, ერევნის, ლენინაკანის სკოლებს.

ფაბრიკის კოლექტივმა ჯერ კიდევ 15 აგვისტოსათვის 101,4 პროცენტით შეასრულა 8 თვის დავალება და გამოუშვა 2.480 ათას მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ი. ირემაშვილის, ნ. ბაქრაძის დურგალთა ბრიგადებმა. კარგად იმუშავეს აგრეთვე ა. ქოსაშვილის ახალგაზრდულმა და ა. ამბარცუმიანისა და შ. ეკიზაშვილის ბრიგადებმა.

ა. ადამაშვილი.

წიგნების თარო

დ. შენგელაია — „წითელი ყაყაჩო“, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, გვ. 219, ფასი 3 მან. და 50 კაპ.

ეს წიგნი მეორე შესწორებული გამოცემაა. იგი ეხება საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თემას. ავტორი გვიჩვენებს ომში საბჭოთა ხალხის მონაწილეობას, ჩვენი გმირი ადამიანების მამაცურ საქმეებს, ზურგში დარჩენილ მშრომელთა ცხოვრებას.

ს. თავაძე — „ქართული ფოლადი“, რომანი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი, 1953 წელი, გვ. 416, ფასი 9 მან. და 20 კაპ.

რომანი დაწერილია ინდუსტრიულ თემაზე, ეხება მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას და მის მოწინავე ადამიანთა საქმიანობას, ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის, ქართველ და რუს მეტალურგთა მეგობრულ ურთიერთობას.

გ. თავაშვილი — „იაკობ გოგებაშვილი“. საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი, გვ. 300, ფასი 6 მან. 80 კაპ.

წიგნში დაწვრილებით განხილულია დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის ცხოვრება, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სურათზე: კურორტი გაგრა. დამსვენებლები ზღვის სანაპირო კოლონადასთან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა

ზუგდიდში

ახალი მშენებლობანი

ქალაქის ნაგებობებს შეემატა ორი სამხარეთულიანი შენობა. ერთი მათგანი ჩაის ტექნოლოგიის ტექნიკუმია. ტექნიკუმს სტუდენტთათვის ქალაქის ცენტრში დაიწყო საერთო საცხოვრებლის აგება. წელს დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ახალი შენობა.

წყალსაწრეტი არხი

ნიადაგრისაგან ქალაქის დასაცავად მდინარე ვაჟიადან სახელმწიფო დრამატული თეატრის მიედნამდე მოსახლეობის ინიციატივით გაყვანილია წყალსაწრეტი არხი. არხის სიგრძე ორი კილომეტრია, სიგანე კი მეტრნახევარს აღემატება.

საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობა. ძირითადად დამთავრებულია წყალსადენის საპროექტო სამუშაოები, დაწყებულია 4 ახალი სავაჭრო პავილიონის მშენებლობა, ფარდულების შეღებვა და სხვ.

ბ. აბულაძე.

მცხეთაში

შამპანური ღვინის ახალი ქარხანა

სოფელ საგურამოში შენდება შამპანური ღვინის ახალი ქარხანა, რომელიც დღე-ღამეში 25 ტონა ყურძენს გადაამუშავებს. მშენებლობისათვის ასიგნებულია 3.600 ათასი მანეთი.

გაყვანილია წყაროს წყალი

სოფელ ზემო ნიჩბისში კოლმეურნეთა ინიციატივით გაყვანილია წყაროს წყალი. წყაროს წყლის დებეტი მთლიანად აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას წყალზე.

საცხოვრებელი ბინების მშენებლობა

ქსანში აგურ-კრამიტის კომბინატის მუშამოსამსახურეთათვის სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ დღეებში 4 ორბინიანი საცხოვრებელი სახლი გადაეცა საექსპლოატაციოდ. მთავრდება ასეთი 6 სახლის მშენებლობა.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი კინოჟურნალები

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ქრონიკის სექტორმა აგვისტოში გამოუშვა ახალი კინოჟურნალები „საბჭოთა საქართველო“ №№ 22, 23 და 24, „ნორჩი თაობა“ № 8/65.

„საბჭოთა საქართველოს“ № 22-ში (რეჟისორი ი. კანდელაკის მონტაჟი) ნაჩვენებია ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სამშობლო, სადაც იგი დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა; თბილისის რძის გადამმუშავებელი ახალი კომბინატი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და სამი მოძმე რესპუბლიკის ქალაქების (ლვოვის, ერევნისა და თბილისის) მუსიკალური კომედიის თეატრების მუშაკთა შეხვედრა.

ჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ № 23-ში (ლ. გოშაძის მონტაჟი) ნაჩვენებია თბილისის სალემავლო დეპოს მოწინავე მემანქანის ევგენი ბახტაძის საწარმოო მიღწევები, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე და დასასრულ, უკრაინის სს რესპუბლიკის სახელმწიფო აკადემიური კაპელის „დუმკას“ ჩამოსვლა საქართველოში.

„საბჭოთა საქართველოს“ № 24 იწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნით, ნაჩვენებია აგრეთვე თანამედროვე თბილისი, ესტაფეტა — „რუსთავი — თბილისი“, მიძღვნილი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალისადმი.

ჟურნალში „ნორჩი თაობა“ (რეჟისორების თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის მონტაჟი) მოჩანს კურორტი ჯავა, სადაც გაატარეს საზაფხულო არდადეგები თბილისის 26 კომისრის რაიონის პიონერ-მოსწავლეებმა. ეკრანზეა ნორჩი ავიამოდელისტების მზადება მომავალი შეჯიბრებისათვის, 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენის ექსპოზიცია, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი გრეკოვის სახელობის სტუდიის მხატვრების მიერ შესრულებულ დიორამას „სუვოროვის ლაშქრობა ალპებში“. აქვე ნაჩვენებია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ საზაფხულო არდადეგების დროს მოწყობილი წარჩინებულ პიონერ-მოსწავლეთა ექსკურსია ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე.

მზადდება ახალი ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 25.

ე. შათაშვილი.

ჩვენი თეატრი ახალ სეზონში

დ. მჭედლიძე,

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი.

12 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერით „აბესალომ და ეთერი“ იხსნება სეზონი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. 13 სექტემბერს ნაჩვენები იქნება დ. თორაძის ბალეტი „გორდა“.

გასული სეზონი ჩვენს თეატრში ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობით აღინიშნა. დ. თორაძის ახალი ბალეტი „მშვიდობისათვის“, აგრეთვე „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი თეატრის ცხოვრებაში.

განახლებული დადგმით წარმოვადგინეთ ლ. დელიბის „ლაკმე“, ჟ. ბიზეს „კარმენი“, კაპიტალურად აღვადგინეთ შ. გუნოს „ფაუსტი“, ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“. დანარჩენი სპექტაკლები გულდასმით იყო შემოწმებული როგორც მუსიკალური, ისე სცენიური თვალსაზრისით, შეკეთდა და განახლდა მათი დეკორაციები. სერიოზული ყურადღება დაეთმო შემსრულებელთა კოლექტივების განახლებას. გასულ სეზონში მარტო საოპერო სპექტაკლებში 148 პარტია ახალგაზრდა მომღერლებმა შეასრულეს.

სპექტაკლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მაყურებელთა მოზიდვას. თეატრმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია ორგანიზებული მაყურებლის მოზიდვისათვის. გასულ სეზონში ჩვენი სპექტაკლები ორგანიზებულად ნახეს რესპუბლიკის ასზე მეტი ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაკებმა, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებმა.

თეატრის ხელმძღვანელობა შემდეგშიც ეცდება განამტკიცოს ცოცხალი კავშირი მაყურებელთან. შარშან მოწყობილი მაყურებელთა კონფერენცია დიდად დაგვეხმარა მუშაობაში.

მომავალი სეზონის პირველ ახალ დადგმად განზრახულია ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“, რომელიც მიეძღვნება დიდი კომპოზიტორის გარდაცვალების 60 წლისთავს. საიუბილეო დეკადაში ამ ოპერის ახალი დადგმის გარდა შეტანილია ჩაიკოვსკის ოპერები „მაზეპა“, „ოლანტა“, „პიკის ქალი“, და „ქოშები“, რომლებიც ჩვენს თეატრში მიდის.

სპექტაკლს „ევგენი ონეგინი“ დგამენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დირიჟორი ო. დიმიტრიადი, სსრ კავშირის დიდი თეატრის რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. პოკროვსკი და დიდი თეატრის მხატვარი ტ. სტარუენეცკაია.

თეატრის შემდეგი სპექტაკლი იქნება კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ახალი ოპერა „ჩხიკვთა ქორწილი“ (ნ. ლახუტაშვილის და გ. ჩხიკვაძის ლიბრეტო). ეს ნაწარმოები შეავსებს საბავშვო სპექტაკლების სიმცირის გამო თეატრის რეპერტუარში არსებულ ხარვეზს და კარგი საჩუქარი იქნება ბავშვებისათვის. ამ ოპერის დადგმას ახორციელებენ დირიჟორი ზ. ხუროძე, რეჟისორი გ. გელოვანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ი. ასკურავა.

თეატრს გადაწყვეტილი აქვს მომდინარე სეზონში განახორციელოს მ. ბალანჩივაძის კლასიკური ოპერა „დარეჯან ცბიერი“. სპექტაკლის დირიჟორობა მინდობილი აქვს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. მირცხულავას, დადგმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტს ა. წუწუნავას, მხატვრული გაფორმება — ი. ასკურავას.

დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა თეატრი რუსული საოპერო ხელოვნების ფუძემდებლის გ. გლინკის ოპერა „ივან სუსანინზე“ მუშაობას. ეს შესანიშნავი ოპერა ქართულ სცენაზე 40 წელზე მეტია არ დადგმულა. ამიტომ იგი როგორც შემსრულებელთა, ისე მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

თეატრი დადგამს აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორის ა. შავერზაშვილის ოპერა „მარინეს“ (მ. ბარათაშვილის ლიბრეტო). კომპოზიტორმა და ლიბრეტოს ავტორმა უკვე დაამთავრეს მუშაობა ოპერაზე.

ჩვენი თეატრის საბალეტო კოლექტივი, რომელმაც მთელი რიგი კარგი დადგმებით და თანამედროვე საბჭოთა საბალეტო სპექტაკლის შექმნით ცხადყო თავისი შემოქმედებითი სიმწიფე, ახალ სეზონში მაყურებელს უჩვენებს ჩაიკოვსკის ბალეტს „გედის ტბას“, აგრეთვე კაპიტალურად აღადგენს ა. ბალანჩივაძის ბალეტს „მთების გულს“. „გედის ტბას“ ხელახლა დგამს ვ. ვახტანგი, დირიჟორია ზ. ხუროძე.

კომპოზიტორი ა. კერესელაძე მუშაობს ოპერა „ბაში-აჩუკის“ გადამუშავებაზე. კომპოზიტორი ა. ბუკია ამუშავებს ოპერა „დაუპატიჟებელ სტუმრებს“. ორივე ოპერა შეტანილი იქნება თეატრის რეპერტუარში.

თეატრის პორტფელშია აგრეთვე კომპოზიტორ თ. შავერზაშვილის საბავშვო ოპერა „იავნანა“ (ი. გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით).

კომპოზიტორი კ. მეღვინეთ-უხუცესი მუშაობს ოპერაზე „ბეკინას ქორწილი“ (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით). დასადგმელად მიღებული გვაქვს ა. ანდრიაშვილის ოპერა „ოთარაანთ ქვრივი“ (ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით).

ახალ სეზონში ჩვენს სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის დიდი თეატრის საუკეთესო მსახიობები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა საოპერო თეატრების თვალსაჩინო მომღერლები და მოცეკვავეები.

ჩვენი თეატრი სერიოზულად იმუშავებს თავისი სპექტაკლების სრულყოფისათვის, რომ მუდამ აკმაყოფილებდეს საბჭოთა მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას.

პასუხი შეკითხვაზე

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სოციალიზმის გზაზე

ა. ცუცქირიძის (ქ. ბორჯომი), ა. პატარიძის, ა. ბურჭულაძის (ქ. თბილისი), დ. ვალიშვილის, რ. ლალიევის (ქ. სტალინირი), გ. მალანიას (ქ. ცხაკაია), შ. სიბაშვილის (ქ. გურჯაანი), ვ. ბლუაშვილი (ქ. ხაშური), ვ. ცაავას (ქ. გეგეჭკორი) შეკითხვა.

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ კაპიტალისტურ სისტემას როგორც ევროპაში, ისე აზიაში ჩამოსცალდნენ მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც დამყარდა ახალი დემოკრატიული წყობილება. სახალხო დემოკრატიის რეჟიმის შექმნა ამ ქვეყნებში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უდიდესი ლახვრის ჩაცემაა იმპერიალიზმისათვის.

მეცნიერული სოციალიზმი გვასწავლის, რომ მსოფლიოს ყველა ერის მიერ სოციალიზმის განხორციელება გარდუვალია. მაგრამ მისი განხორციელების გზები არ შეიძლება ყოველთვის და ყველგან სავსებით ერთნაირი იყოს. თვითეული ერი თავისებურებას შეიტანს დემოკრატიის განვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ტემპი, სახესხვაობა განპირობებულია მოცემული ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობებით, მისი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დონით, თავისებურებებით.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის განვითარებას ახალ ერას, უჩვენა მსოფლიოს ხალხებს, თუ როგორ და რა ვითარებაში შეიძლება კაპიტალისტური წყობილების მოსპობა და სოციალიზმის აშენება. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ იქნა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა საბჭოების სახით, მაგრამ სრულებით არ არის სავალდებულო, რომ ყოველ ქვეყანაში გამარჯვებულმა მშრომელებმა დიქტატურის ისეთივე ფორმა შექმნან, როგორც ჩვენში.

მარქსიზმის მთავარ დებულებას შეადგენს ის, რომ კლასთა ბრძოლას საზოგადოება აუცილებლად მიჰყავს პროლეტარიატის დიქტატურამდე. ამრიგად, მუშათა კლასის ამოცანა ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ამ დიქტატურის მხოლოდ ფორმა შეიძლება სხვადასხვა იყოს. მართლაც, ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა წყობილება, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა სახალხო დემოკრატიაა. და ეს იმიტომ, რომ სხვა იყო ისტორიული პირობები, როდესაც ჩვენში მშრომელებმა გაიმარჯვეს, ძალაუფლება მოიპოვეს, როცა რუსეთის პროლეტარიატს მშრომელ გლეხობასთან კავშირში სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოუხდა მძიმე ბრძოლები გადაეტანა კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ და როცა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო რევოლუციური მუშათა მოძრაობის ერთადერთი „დამკვრელი ბრიგადა“ იყო.

სულ სხვა მდგომარეობა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მძლავრმა სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხების საქმეში, როდესაც ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს სახელოვანი საბჭოთა არმია მოევლინა როგორც განმათავისუფლებელი არმია.

ამ ქვეყნებში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად მშრომელებმა გამარჯვება მოიპოვეს და ძალაუფლება აიღეს ხელში, სახალხო დემოკრატია ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს.

სახალხო დემოკრატია არის მუშების, გლეხების, საერთოდ წვრილ მესაკუთრეთა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. საკითხი ბურჟუაზიასთან კავშირის შესახებ ამა თუ იმ ქვეყანაში წყდება იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დონე და რომელ საფეხურზეა კლასთა შორის წინააღმდეგობა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მშრომელთა კლასებისა და პარტიების გაერთიანება კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ რეჟიმებს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახელწოდება აქვთ: სახალხო რესპუბლიკა (პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ჩინეთში, მონღოლეთში), სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (ჩეხოსლოვაკიაში, ჩრდილოეთ კორეაში), დემოკრატიული რესპუბლიკა (გერმანიაში, ვიეტნამში). ამ სახელმწიფოებს შორის ვერავითარ პრინციპულ განსხვავებას ვერ ვხედავთ, ისე როგორც ვერ ვხედავთ ვერავითარ განსხვავებას, მაგალითად, რუმინეთის მუშათა პარტიასა, ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის მშრომელთა პარტიას შორის. განსხვავება ამ რესპუბლიკებს შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, უნგრეთი) ახალი დემოკრატიული რეჟიმი დამყარდა 1944-1945 წლებში, მონღოლეთში კიდევ უფრო ადრე—1921 წელს, ჩინეთში—1949 წელს. ბუნებრივია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ადრე დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას, სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების დარგში გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იმყოფებიან, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ასეთ გზას დაადგნენ უფრო გვიან. გარდაქმნებისას, გარდა დემოკრატიული წყობილების დამყარების დროისა, არ შეიძლება მხედველობაში არ იქნას მიღებული აგრეთვე ის, თუ როგორი იყო სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე ამა თუ იმ ქვეყანაში ახალი წყობილების დამყარებისას.

აღსანიშნავია, ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის არსებობდა და ნაწილობრივ დღესაც არსებობს განსხვავება ეკონომიურსა და კულტურულ სფეროში. მაგალითად, თუ ომამდე ჩეხოსლოვაკია იყო უაღრესად განვითარებული ქვეყანა, სადაც პროლეტარიატი მოსახლეობის 34 პროცენტს შეადგენდა, ალბანეთი იყო უაღრესად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, სადაც მეურნეობის მთავარი დარგი მეცხოველეობა იყო; ვეებერთელა ჩინეთის მრეწველობის პროდუქცია მსოფლიო მრეწველობის პროდუქციის მხოლოდ 1,5 პროცენტს შეადგენდა; მონღოლეთში მოსახლეობის ნაწილი დღესაც მომთაბარეობას მისდევს.

ამრიგად, ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ სახელწოდებაში კი არა ვხედავთ, განსხვავებას, არამედ ახალი დემოკრატიული რეჟიმის დაარსების დროსა და ამ ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეში. მაგრამ ჩვენ ამ რესპუბლიკებს შორის იმდენ განსხვავებას ვერ ვხედავთ, რამდენ მსგავსებასაც.

რით გამოიხატება ეს იგივეობა? სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში: ა) მოსპობილია ფეოდალური ურთიერთობა და მიწა გადაეცა იმას, ვინც მას ამუშავებს; ბ) მრეწველობა, ბანკები ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა სახალხო სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს; გ) გადაიჭრა ეროვნული საკითხი, ბოლო მოეღო ე. წ. ნაციონალურ-ბათა ჩაგვრას; დ) საზოგადოების წამყვან ძალას წარმოადგენს კომუნისტური ან მუშათა პარტია; ე) სახალხო მეურნეობის განვითარება წარიმართება გეგმიანობის საფუძველზე. ამრიგად, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია პროლეტარიატის დიქტატურა (სახალხო დემოკრატიის ფორმით), მარქსისტული პარტიის წამყვანი როლი და გეგმიანი მეურნეობა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას, მიაღწიეს დიდ წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამ ქვეყნების განთავისუფლებამ ფაშიზმისა და იმპერიალიზმის უღლისაგან, რაც მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შედეგად ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე, სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებამ საბჭოთა კავშირთან მათმა ძმურმა კავშირმა და მეგობრობამ გააღიძეს ხალხის წიაღში არსებული მძლავრი ძალები, წარმოშვეს მასების შემოქმედებითი ენერგიის დაუშრეტელი წყარო.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება, რასაც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარება, უზრუნველყოფს ამ ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. უკვე 1952 წელს სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე ჩეხოსლოვაკიაში გადაჭარბებულ იქნა 2-ჯერ, რუმინეთში 2-ჯერ და უფრო მეტად, პოლონეთში და უნგრეთში — 3-ჯერ, ბულგარეთში — 4-ჯერ, ალბანეთში — 7-ჯერ. ამავამად ამ ქვეყნების მთელი სამრეწველო პროდუქციის 99 პროცენტს სოციალისტური მრეწველობა იძლევა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1952 წლის ბოლოსათვის ძირითადად დამთავრდა სახალხო მეურნეობის აღდგენა. მრეწველობამ და სასოფლო-საბეურნეო წარმოებამ ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო მთელ რიგ დარგებში კიდეც გადააჭარბა ამ დონეს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, ხელმძღვანელობენ რა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური მოძღვრებით, ხალხთა მასების შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ენერგეტიკის, ამასთან ფართო მოხმარების საგნების წარმოების განვითარებისაკენ. მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 1952 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა. პოლონეთში ამჟამად მოსახლეობის თვითეულ სულზე სამჯერ მეტ ქვანახშირსა და ფოლადს აწარმოებენ, ვიდრე ომამდე, ელექტროენერგიას—4-ჯერ მეტს. უნგრეთში 1938 წელს მოსახლეობის თვითეულ სულზე ამზადებდნენ 70 კილოგრამ ფოლადს, 1954 წელს კი დაამზადებენ 236 კილოგრამს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განსაკუთრებული ცვლილებები ხდება სოფლის მეურნეობაში. მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობამ, მემამულეთა და ნაწილობრივ კულაკთა კუთვნილი მილიონობით ჰექტარი მიწების მშრომელი გლეხობისათვის გადაცემამ ფართო გასაქანი მისცა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარებას. ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკა ხელს უწყობს მუშებისა და გლეხების კავშირის, როგორც სახალხო ხელისუფლების საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას. მტკიცედ და თანმიმდევრულად ხდება ლიკვიდაცია დისპროპორციისა სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის. მშრომელი გლეხობა სულ უფრო და უფრო რწმუნდება მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ქმნის მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობებს, შრომითს სამწარმოქმედო კოოპერატივებს და სოფლის კოლექტიურ მეურნეობებს.

სოციალისტურ მრეწველობას შეესაბამება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ამ მეურნეობის განვითარების ფორმები სხვადასხვაა. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სოციალიზმის რელსებზე გადაყვანა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მრეწველობისა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში ასეთი ღონისძიების განხორციელებით ისპობა კულაკობა. ეს იწვევს გაფთრებულ ბრძოლას. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებისას შეუწყნარებელია აჩქარებაც, რაც, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოხდა.

ჩინეთში ძირითადად დამთავრებულია დიდი აგრარული რეფორმა, მცირემიწიანმა და უმიწო გლეხებმა მიწა მიიღეს. 1952 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალმა ომამდელ დონეს გადააჭარბა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობები და მმართველი კომუნისტური და მუშათა პარტიები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას. მილიონობით მშრომელმა ადამიანმა მოახდინა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. შეიქმნა პირობები ახალი ინტელიგენციის აღზრდისათვის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი იწვევენ სასტიკ წინააღმდეგობას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების მხრივ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის თანამგზავრია კლასთა ბრძოლის გამწვავება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გაკოტრებული ბურჟუაზიული კლასების ნაშთების მამოძრავებელი და სულისჩამდგმელია ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის ქვეყნებში მავნებელთა, მოღალატეთა სასამართლო პროცესები აშკარავებს მათს კავშირს უცხოეთის იმპერიალისტური ქვეყნების საელჩოებთან. ბურჟუაზიული კლასებისა და პარტიების განადგურების შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მოუხდათ დიდი მუშაობის გაწევა თავისი რიგების გასაწმენდად იმპერიალიზმის აგენტებისა, ჯაშუშებისა და მოღალატეებისაგან, გომულკა-ოსუბკა-მორავსკის ჯგუფის განადგურება პოლონეთში, სლანსკი შვერმოვა-კლემენტისის მოღალატური ჯგუფისა — ჩეხოსლოვაკიაში, რაიკის ჯგუფისა — უნგრეთში, კოსტოვისა — ბულგარეთში, კოჩი ძოძესი — ალბანეთში და სხვ. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა და კომუნისტური პარტიები სოციალიზმის მშენებლობისათვის. რაც უფრო მეტია მიღწევები სოციალიზმის მშენებლობის უბანზე, მით უფრო გააფთრებულ ბრძოლას ეწევა მსოფლიო იმპერიალიზმი დემოკრატიის წინააღმდეგ, მით უფრო აძლიერებს იგი შემოტევას.

პარტიისა და ხალხის მოღალატის გარეწარ ბერიას მხილება მიგვითითებს, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი თავისი კვდომის სტადიაში არ ერიდება ბრძოლის მზაკვრული ხერხების გამოყენებას. ეს ფაქტი რევოლუციური სიფხიზლის გაკვეთილი უნდა იყოს როგორც ჩვენი, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობებს, მმართველ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც შეიარაღებული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, ქალაქისა და სოფლის მშრომელნი მიჰყავთ სოციალიზმის მშენებლობის გზით, განუხრელად ამაღლებენ მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ დონეს, სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას, ერთსულოვნად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დ. ენუქიძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ფინეთის კომუნისტური პარტიის 35 წელი

აალტონენის გამოსვლა

ჰელსინკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტიუუკასან სანომატი“ იუწყება, 6 სექტემბერს ქალაქ ტურკუში გაიმართა დღესასწაული, რომელიც მიეძღვნა ფინეთის კომუნისტური პარტიის 35 წლისთავს. დღესასწაულზე სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის თავმჯდომარემ აიმო აალტონენმა.

ილაპარაკა რა ეკონომიურ პოლიტიკაზე, აალტონენმა გაიხსენა, რომ კომპარტია გაფართხილებას იძლეოდა, რომ არსებობს საფრთხე წარმოების ცალმხრივი განვითარებისა და ფინეთის დამოკიდებულებისა დასავლეთის ქვეყნებზე, რომლებიც კრიზისებს განიცდიან. ეს გაფრთხილება, ხაზგასმით აღნიშნა აალტონენმა, მთლიანად დადასტურდა. მან დაგმო მოქმედება, რომლის შედეგად ხალხის შრომით მიღებული სახსრები იხარჯება გასამხედროებული ორგანიზაციების აღორძინებაზე, რეაქტიული თვითმფრინავების შეძენაზე, თადარიგის ოფიცერთა კურსების მოწყობაზე, სამხედრო პროპაგანდასა და ყოველგვარი ფაშისტური ორგანიზაციების წახალისებაზე.

აალტონენმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფინეთისათვის საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიურ ურთიერთობას. მან, კერძოდ, თქვა: „რა უბედურება დაატყდებოდა თავს ათეულთასობით ოჯახს, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ურთიერთობაში კოალიციური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიის ლიდერების მიერ რეკომენდებული „ცივი ომის“ პოლიტიკა რომ ხორციელდებოდეს. სად უნდა გაგვესაღებინა გემთშენებლობის, ლითონდამუშავებელი მრეწველობის, ხის სახლების დამამზადებელი მრეწველობის პროდუქცია და ბევრი სხვა საწარმოს პროდუქცია, შეუძლებელი რომ ყოფილიყო განგვეგრძო და გაგვედიდებინა ექსპორტი სოციალისტური ბაზრის ქვეყნებში? ქარხნები გაჩერდებოდა, ათეულ ათასობით მუშას სამუშაო არ ექნებოდა, ხოლო ათეულ ათასობით ადამიანს — პური. საიდან უნდა შემოგვეტანა მარცვლეული, თხევადი და სხვა საწვავი, ბამბა, რკინა და სხვა ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება? პრაქტიკამ გვიჩვენა, რამდენად მართალი იყვნენ ჩვენი ხალხის ფართო მასები, როცა მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას და თავიდან გვაშორებდნენ „ცივი ომის“ გეგმების სრულ განხორციელებას.

შემდეგ აალტონენმა ილაპარაკა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის განმტკიცების საკითხზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა ორივე ქვეყანას შორის მეგობრობისათვის, რადგან შეგნებული ჰქონდა, რომ ეს მეგობრობა ფინელი ხალხისათვის უზრუნველყოფს მშვიდობასა და დამოუკიდებლობას.

აალტონენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამოცანა ფინელი ხალხისა, რომელიც მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეა, ის არის, რომ იზრუნოს, რათა სამხედრო პოლიტიკანებმა ვერ მოსპონ მეგობრობის მშვენიერი ყლორტები. მარტო ლაპარაკი მეგობრობაზე როდი კმარა — საჭიროა საქმე. მან თქვა, რომ ფინეთის მთავრობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა ბოლო მოუღოს ყალბ პროპაგანდას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რასაც ფინეთში ეწევიან ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა და რადიო.

შეეხო რა პარტიის უახლოეს ამოცანებს, აალტონენმა თქვა, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მათ შორის არის მომავალ კომუნალურ არჩევნებში მშრომელთა წარმატების უზრუნველყოფა.

საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მე-9 წლისთავი

სოფია, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის დედაქალაქის 300 ათასამდე მშრომელმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართა საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მე-9 წლისთავის გამო.

9 სექტემბრის მოედანი, სადაც იმართება ყველა სახალხო დღესასწაული და ზეიმი, მორთული იყო პორტრეტებით, ტრანსპარანტებითა და პლაკატებით, რომლებსაც ეწერა ბულგარეთის განმთავისუფლებელი დიდი საბჭოთა კავშირისა და მისი გმირი არმიისადმი მისალმების სიტყვები, მოწოდებანი ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის განმტკიცების შესახებ, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ბულგარეთში სოციალიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის შესახებ.

სამხედრო პარადის დაწყებისას გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მასობრივი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ბულგარეთის სახალხო არმიის გენერლები პარადს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ვ. ფ. ბოდროვი და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

პარადში მონაწილეობდნენ სოფიის გარნიზონის ჯარები. პარადი მიიღო სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა პეტრე პანჩევსკიმ.

შემდეგ გაიმართა სოფიის მშრომელთა დემონსტრაცია, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა.

ასეთივე დემონსტრაცია გაიმართა პლოვდივში და ბულგარეთის სხვა ქალაქებში.

კომუნისტების გამარჯვება ნეპალის დედაქალაქის მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, მუნიციპალურ არჩევნებში, რაც პირველად გაიმართა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში, კომუნისტებმა 6 ადგილი მიიღეს. ამ არჩეულ 6 კაცთან ერთად კომუნისტები ყველაზე მრავალრიცხოვან ფრაქციას შეადგენენ სხვა პარტიებთან შედარებით, რომელთაგან თვითეულმა სულ ბევრი 4 ადგილი მიიღო.

გერმანიის ერთიანობისათვის

წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის მებრძოლთა კომიტეტისა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მოწოდება

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის მებრძოლთა კომიტეტისა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მოწოდება ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის გამო, რომელიც 13 სექტემბერს უნდა გაიმართოს.

აღნიშნავენ რა, რომ ფაშიზმის 11 მილიონმა მსხვერპლმა კაცობრიობას უანდერძა აღარ დაუშვას ფაშიზმისა და ომის გამეორება, მოწოდების ავტორები გერმანელ ხალხს მოუწოდებენ იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ისე, როგორც გმირი ანტიფაშისტები იბრძოდნენ.

ომის ამერიკული და გერმანელი გამჩაღებლები, ნათქვამია მოწოდებაში, ჰიტლერის კვალს მიჰყვებიან. ადენაუერის რეჟიმი ფაშიზმისა და ომის გზას დაადგა. ფაშისტები, მილიტარისტები და მონოპოლისტები შეღლს თესავენ გერმანელ ხალხში, ძმათამკვლელ ომს ქადაგებენ, აქეზებენ აღმოსავლეთის წინააღმდეგ რევანშისტული ომისათვის და ემუქრებიან დასავლეთ ევროპის ხალხებს. ასეთ თანამედროვეობაში მოხდა ბუნდესტაგის არჩევნებიც.

მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ 6 სექტემბრის არჩევნები ძალიან ჰგავს 1933 წლის 5 მარტის არჩევნებს, რადგან ერთიცა და მეორეც ტერორის, მოტყუების, დემაგოგიისა და ძალადობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ჩვენ მოგაგონებთ, ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, რომ 1933 წლის 5 მარტის შემდეგ ჰიტლერმა პირდაპირ აიღო მეორე მსოფლიო ომის მომზადების კურსი.

ადენაუერს 1953 წლის 6 სექტემბრის შემდეგ სურს აამოქმედოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი. ამით დასავლეთ გერმანიაში დიდი საფრთხე იქმნება მშვიდობისათვის. ეს საფრთხე მაინც შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ გავითვალისწინებთ ისტორიის გაკვეთილებს, რომლებიც გვასწავლის, რომ ფაშისტურ დიქტატურას შეიძლება ხელი შევუშალოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშათა კლასი ერთიანი ფრონტით იმოქმედებს ყველა დემოკრატიულ და ანტიფაშისტურ ძალებთან ერთად. ეს საფრთხე შეიძლება თავიდან ავიცილოთ თუ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელები შეთანხმდებიან, რადგან ერთიან, დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე გერმანიაში ადგილი არ იქნება ფაშისტური და მილიტარისტული რეჟიმისათვის.

დასასრულ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის გერმანელი ხალხის ეროვნულ ბრძოლაში მის მხარეზე არიან მძლავრი მოკავშირეები — საბჭოთა კავშირი და მშვიდობის მსოფლიო ბანაკის სხვა ხალხები, რომლებსაც დიდი მსხვერპლი მოუვიდათ ფაშიზმისაგან.

ბერლინის დემოკრატიული პრესა ბონის ბუნდესტაგის არჩევნების შედეგების შესახებ

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებს. აღნიშნავენ რა, რომ ისევ ბუნდესტაგის არჩევა, რომელშიც უმრავლესობას ადენაუერის მომხრენი შეადგენენ, შეიცავს დიდ საფრთხეს გერმანიის მომავლისათვის, გერმანიის გათიშვის გაღრმავების საფრთხეს, დაჩქარებული მილიტარიზაციისა და გერმანელი ხალხისათვის საბედისწერო ომის გაჩაღების საფრთხეს, გაზეთები ერთსულოვნად მოუწოდებენ გერმანიის მთელ მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ ძალებს გაერთიანდნენ ადენაუერის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში.

„ნოიეს დოიჩლანდი“ მოწინავე სტატიაში წერს:

არჩევნების ასეთი შედეგები შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მუშათა კლასის ძალები — გერმანიის კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეტი ნაწილი და პროფკავშირთა წევრები — ისევე დაქსაქსულად იბრძოდნენ, როგორც ერთიანობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირში, სრულიად გერმანიის სახალხო პარტიაში და სხვ. გაერთიანებული მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალები, რომლებიც მათ თანაუგრძნობენ. ამის საწინააღმდეგოდ რეაქციულმა იმპერიალისტურმა ძალებმა მოახერხეს ერთიანი ფრონტით გამოსვლა. იმის მეოხებით, რომ თავიანთი ინტერესებისათვის მოურიდებლად გამოიყენეს მათს ხელში მყოფი სახელმწიფო აპარატი და დამხმარე ორგანოები, ემყარებოდნენ ამერიკელ იმპერიალისტთა მატერიალურ დახმარებას და გამოიყენეს ჰიტლერის დროინდელი ფაშისტური იდეოლოგია, მათ მოახერხეს შეცდომაში შეეყვანათ ნაწილი ამომრჩევლებისა, რომლებმაც ხმა მისცეს საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის ჩაშლისათვის პასუხისმგებელია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელობა.

გერმანიის მუშათა კლასის ამოცანა თანამედროვე ვითარებაში. წერს გაზეთი, ის არის, რომ გონივრულად, საქმიანად გაუკეთოს ანალიზი მდგომარეობას და ზუსტი წარმოდგენა იქონიოს როგორც მოწინააღმდეგის ძალებზე, ისე საკუთარ ძალებზე, გააერთიანოს და წესრიგზე მოიყვანოს თავისი ძალები, რათა საჭირო მომენტში კვლავ წაიყვანოს ისინი შეტევაზე.

გაზეთი „ნოიე �აიტი“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩევნების დამთავრებისთანავე ადენაუერმა მოითხოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით შეერთება დასავლეთ გერმანიასთან და შემდეგი სიტყვებით გამოაცხადა ძმათამკვლელი ომის პროგრამა: „აქამდე ლაპარაკი იყო მხოლოდ გაერთიანებაზე. ახლა ამას ბოლო მოეღო. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ აღმოსავლეთი ზონის განთავისუფლებაზე“. ამით ადენაუერმა არჩევნების მეორე დღესვე აიხადა ნიღაბი, რომლის საშუალებით შეცდომაში შეჰყავდა მოსახლეობა არჩევნების დროს.

ნაცვლად მოლაპარაკებისა, რომელიც ადენაუერს არჩევნების წინ არ შეეძლო უარყო დასავლეთ გერმანიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეგავლენით, იგი კვლავ აცხადებს „ძალის პოლიტიკას“, რომელიც აგრესიის პოლიტიკას ნიშნავს.

გაზეთი „დერ მორგენი“ აღნიშნავს, რომ არჩევნები დასავლეთ გერმანიაში იყო ამერიკული არჩევნები, რომლის მომზადებას და მოწყობასთან ახლდა უსაზიზღრესი ცილისმწამებლური კამპანია და ტერორისტული აქტები დასავლეთ გერმანიის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, თან ახლდა მილიტარისტული და რევანშისტული ძალების გაფთრებული პარპაშა.

გაზეთი მოუწოდებს გერმანიის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ყველა გერმანელს შეიგნონ მდგომარეობის სერიოზულობა და მთელი ძალებით იბრძოლონ გერმანიისა და გერმანელი ხალხის მომავლის უზრუნველყოფისათვის. გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

გაზეთები „ტრიბუნე“ და „ბერლინერ ციტუნგი“ სარედაქციო სტატიებში აღნიშნავენ მუშათა კლასის რიგებში არსებული დაქსაქსულობის დამღუპველ შედეგებს და მოუწოდებენ მუშათა კლასს გერმანიის მთელ დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად გამოვიდეს ერთიანი ფრონტით ბონის ხროვის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში.

რას წარმოადგენენ დასავლეთ გერმანიის ახალი გუნდესტაგის დეპუტატები

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტოს ბონიდან გადმოცემული ცნობით, დასავლეთ გერმანიის ახალი ბუნდესტაგის 487 დეპუტატიდან 42 დირექტორი ან დიდი თანამდებობის ხელმძღვანელი მოსამსახურეა, 34 — მეწარმე, 38 — ადვოკატი, 67 — მოხელე, 41 — მიწათმფლობელი, 49 — არქიტექტორი, ინჟინერი და ექიმი. დასავლეთ გერმანიის მომავალი დაქირავებული არმიის წარმომადგენლები არიან ერთი ვიცე-ადმირალი, ერთი გენერალი და ერთი კაპიტან-ლეიტენანტი. 487 დეპუტატში, რომლებმაც უნდა დაიცვან დასავლეთ გერმანიის მთელი მოსახლეობის ინტერესები, მხოლოდ 15 მუშაა. დასავლეთ გერმანიის კონცერნების ფფლობელებისა და მეწარმეების ინტერესებს ბუნდესტაგში წარმოადგენენ: მარტინ ბლანკი („თავისუფალი დემოკრატიული პარტია“) — „ჰუტჰოფნუნგსჰიუტეს“ დირექტორი და ბუნდესტაგის ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე; ვოლფგანგ პოლე (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი) — მანესმანის საწარმოთა მთავარი იურისტი; ფრიც ბერენდსენი (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი) — კლეკნერის კონცერნის ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელი; ჰანს ველჰაუზენი („თავისუფალი დემოკრატიული პარტია“) — ნიურნბერგის „მანნი“ საწარმოთა დირექტორი. ბუნდესტაგის დეპუტატები არიან აგრეთვე ვილჰელმ ნეგელი (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი) ბრეინქმაიერის ფირმისაგან — პოლიტიკურ-ეკონომიური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და გერმანიის საცალო ვაჭრობის მთავარი გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი; ოზოფ ილერჰაუზი (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი) — გერმანიის საფეიერო ნაწარმის საცალო ვაჭრობის ფედერალური გაერთიანების პრეზიდენტი და სხვ.

ახალი ბუნდესტაგის დეპუტატები არიან აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობის მთავარი წარმომადგენლები, ჰიტლერის ხელშემწყობი რობერტ პფერდმენგესი და ჰამბურგელი ბანკირი ჰუგო შარნბერგი (ორივე ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრი).

მდგომარეობა მაროკოში

კაირო, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-მისრი“ იუწყება, „ჩრდილოეთ აფრიკის თავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტმა“ (რომელიც შექმნეს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან წასულმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა) გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ლაპარაკია ტერორზე, რასაც საფრანგეთის ჯარები მაროკოში ეწევიან. მაროკოში, ნათქვამია განცხადებაში, ხალხს მასობრივად აპატიმრებენ. სულთნის გადაყენების შემდეგ მაროკოში დაპატიმრეს 20 ათასზე მეტი პატრიოტი.

მაროკოში ფართოდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ქალაქ კასაბლანკაში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა. საფრანგეთის ჯარებთან შეტაკებათა შედეგად მოკლულ იქნა 23 ფრანგი ჯარისკაცი.

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ხალხის რისხვისაგან ახალი სულთნის დასაცავად გამოყოფილია საფრანგეთის ჯარების ერთი ბატალიონი.

ავსტრიული გაზეთი ვენის საშემოდგომო ბაზრობაზე სსრ კავშირის პავილიონის შესახებ

ვენა, 9 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმ“ მოათავსა სტატია ვენის საშემოდგომო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის შესახებ. სტატიის სათაურია „საბჭოთა პავილიონი ბაზრობაზე ყურადღების ცენტრშია“. აღნიშნავს რა, რომ პავილიონი მკაფიოდ ცხადყოფს სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის უდიდეს მიღწევებს, „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმ“ წერს:

დამთვალიერებელთა შორის არის ბევრი უცხოელი და ავსტრიის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ავსტრიელი. არავის არა სურს ბაზრობიდან ისე წავიდეს, რომ საბჭოთა პავილიონი არ დათვალიეროს. ადამიანები საათობით დგანან რიგში, რათა გაეცნონ პავილიონში გამოფენილ დიდებულ ტექნიკას — ავტომანქანებს, ჩარხებს, ოპტიკურ ხელსაწყოებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ისინი აღტაცებული არიან საბჭოთა კავშირში დამზადებული ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების სიუხვით.

გაზეთი აგრეთვე მაღალ შეფასებას აძლევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის პავილიონს.

ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის პლენარული სხდომა

პრაღა, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტოს ცნობით, გუშინ, ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის გარდაცვალების მეათე წლისთავზე, პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის პლენარული სხდომა. სიტყვა იულიუს ფუჩიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წარმოთქვა სლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარემ და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ალექსანდრე გორაკმა.

სხდომაზე შემდეგ განხილულ იქნა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადება 1953 წლის ოქტომბერში ქალაქ პრაღაში გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ჩეხოსლოვაკიის ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს წინადადება ერთსულოვნად მოიწონეს.

ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანეკა გოდინოვა-სპურნამ თავის სიტყვაში ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიაში მშვიდობის მოძრაობის ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობიდან, და მომავალი ყრილობის დიდ ეროვნულ და საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

გოდინოვა-სპურნას სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი.

გომინდანელთა ხროვის ავანტიურული აქციების წინააღმდეგ

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

პრაღა, 10 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტოს გუშინ გადასცა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელიც ნათქვამია:

„31 იანვარს ჩინეთის კუნძულ ნანჯიდაოს ახლოს გომინდანელმა ბანდიტებმა შეიპყრეს იტალიის გემი „მარილუ“ და წაიყვანეს ტაივანის ნავსადგურ ძილუნში. გემ „მარილუს“ ჩინეთიდან მოჰქონდა ჩეხოსლოვაკიის ფირმების მიერ ნაყიდი საქონელი. გემის ტვირთი გომინდანელებმა გადმოტვირთეს ძილუნში და კონფისკაცია უყვეს.

ეს მოქმედება წარმოადგენს ჩვენი საქონლის აშკარა მოპარვას, რადგან გემის დოკუმენტებიდან ჩანდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ისეთ საქონელს, რომელიც უკვე ეკუთვნოდა ჩეხოსლოვაკიის ფირმებს.

ჩან კაი-შის ხროვის ცდა — ასეთი თვითნებური მტაცებლური ჩარევით დაერღვია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საკაპრო ურთიერთობა — ნაწილია იმ კამპანიისა, რომლითაც ივი ცდილობს საფრთხე შეუქმნას მშვიდობასა და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში.

გომინდანელთა ხროვამ, რომელიც, როგორც ცნობილია, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით სულდგმულობს და რომლის წარმომადგენლებსაც სრულიად უკანონოდ უკავიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილები, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ წარმომადგენლებს ეკუთვნით, საკაპრო გემზე ამ თავდასხმით ამხილა თავისი თავი მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც ავანტიურისტ და მეკობრეთა ხროვამ, რომლებიც მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანის ზიზღის ღირსი არიან“.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჰამადანში 5 სექტემბრიდან სამხედრო წესები გამოცხადდა.

თეირანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც თეირანის გაზეთების ცნობებიდან ჩანს, თეირანში ყოველდღე ამბოხებენ 50 კაცს.

უკანასკნელ 2-3 დღეში დააპატიმრეს თეირანის თამბაქოს ფაბრიკის, თეირანის ელევატორის, ცემენტის ქარხნისა და სხვა საწარმოთა ბევრი მუშა.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი შვეიცარიაში

ნოიჰაუზენი, 10 სექტემბერი. (საკდესი). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მეშვიდე ტურში შედარებით დინჯი ბრძოლის შემდეგ უაიმით დამთავრდა ბოლესლავსკი-რეშევსკის, შტალბერგ-ბრონშტეინისა და ავერბახ-ნაიდორფის პარტიები. დიდ გართულებათა შემდეგ ასეთსავე შედეგს მიაღწიეს საბომ ტაიმანოვთან და ეიგემ გლიგორიჩთან. ტურის ორი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. კოტოვმა პარტიაში გროსმაისტერ კერესთან შესვენების წინ შეცდომა დაუშვა და ცოტა უარეს პოზიციაში გადადო პარტია. სმისლოვისათვის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა მისი შეხვედრა გელერთან. მაგრამ პარტიის მეორე ნახევარში გელერი დიდი ოსტატობით თამაშობდა და გადადებულ პოზიციაში ყაიმის დიდი შესაძლებლობა აქვს.

საგრეშუმის ქსოვილების გაფრენა

9 სექტემბერს თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში გაიხსნა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნაწარმის — მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილების საჩვენებელი გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა მოხატულობისა და გაფერადების, მათ შორის წარმოებაში ახლად ათვისებული ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის 150-მდე ქსოვილი კრეპ-ჟორჟეტი, კრეპსატინი, კრეპდეშინი, კრეპპარიზიენი, ხელოვნური მარკიზეტი, ხელოვნური ზოლიანი ტილო, „მოსკრეპი“, „შტაპელური ქსოვილები, ხელოვნური სარეცელი და სხვ. სულ გამოფენილია და გაიყიდება 26 სახის ორ მილიონამდე მანეთის მაღალხარისხოვანი აბრეშუმი.

გამოფენაზე თბილისის მოდელების სახლის მხატვარ-მოდელიერები მოაწყობენ კონსულტაციას, მყიდველებს შეურჩევენ ქსოვილებს ხარისხისა და ფერის მიხედვით, დაეხმარებიან ფასონის გამორჩევაში. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მხატვრები ა. გოდერძიშვილი, ი. პეტროვი, ნ. სულხანიშვილი, ნ. ლომთაძე მხატვარ ვ. ცხვარაძის ხელმძღვანელობით სისტემატურ შემოქმედებითს დაკვირვებას ახდენენ, რათა შეისწავლონ მყიდველთა მოთხოვნილება და გემოვნება აბრეშუმის ქსოვილის მოხატულობის მხრივ, რომ შემდგომში შექმნან მოსახლეობის გემოვნების შესაბამისი მოხატულობანი.

გამოფენაზე არის შთაბეჭდილებისა და წინადადებათა წიგნი. ამ წიგნში ჩაწერილ წინადადებებსა და შენიშვნებს ფაბრიკა გაითვალისწინებს მომავალ მუშაობაში.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

ფოტო ვ. ზარიძისა.

ტექსტი ე. მამალაძისა.

სსრ კავშირის XX ჩემპიონატი ქალთბურთში

საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირველობის გათამაშების ფინალური შეხვედრები ქალთბურთში დღითი-დღე საინტერესო და მიმზიდველი ხდება.

ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს სამი გუნდიდან „ა“ ფინალურ ჯგუფში მოხვდა თბილისის „დინამოს“ ვაჟთა და „ნაუკის“ ქალთა გუნდები. თბილისის „ნაუკის“ ვაჟთა გუნდი იბრძვის მეორე ფინალურ ჯგუფში.

დღეისათვის „ა“ ფინალურ ჯგუფში მონაწილე გუნდებს გათამაშების ცხრილში ჩაწერილი აქვთ სამი შეხვედრის შედეგი. ვაჟთა გუნდებს შორის ჩემპიონობის პრეტენდენტებად ითვლებიან მოსკოვის ცდსა-ს, კაუნასის „ჟალგირისის“, თბილისის „დინამოს“ და რიგის ოფიცერთა სახლის გუნდები. თვითეულ მათგანს შეგროვებული აქვს სამი ქულა.

ქალთა გუნდებს შორის წარმატებით იბრძვიან დედაქალაქის დინამოელები, რომლებსაც გათამაშების ცხრილში ჩაწერილი აქვთ 3 ქულა. სამსამი შეხვედრა მოიგეს აგრეთვე მოსკოვის „სტროიტელის“ და ლენინგრადის „ისკრის“ გუნდებმა. თბილისის „ნაუკის“, კაუნასის „ჟალგირისის“, რიგის „დაუგავას“ და მოსკოვის „ნაუკის“ გუნდებს ორ-ორი ქულა აქვთ.

თბილისის „ნაუკის“ კალათბურთელმა ვაჟებმა მეორე ფინალურ ჯგუფში სამი შეხვედრიდან სამივე მოიგეს.

ფეხბურთი

10 სექტემბერი. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 1:0.

საქართველოს პირველობა საიალქნო სპორტში

ბათუმი. (სპ. კორ.). საზოგადოება „პიშჩევიკის“ წყალჯომარდობის სადგურში დამთავრდა შეჯიბრება საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე საიალქნო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სასპორტო საზოგადოებების „პიშჩევიკის“, „ისკრისა“ და „მედიკის“ ორ-ორი გუნდები.

პირველი ადგილი დაიკავა საზოგადოება „ისკრის“ მეიალქნეთა გუნდმა, მეორე — „მედიკის“ გუნდმა, ხოლო მესამეზეა „პიშჩევიკის“ კოლექტივი. „ისკრის“ გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი და საქართველოს პროფსაბჭოს სიგელი.

საკავშირო გუნდური პირველობა ჰადრაკში

ამ დღეებში ლენინგრადში გაემგზავრა საქართველოს მოჰადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში.

შეჯიბრებაში მონაწილე თვითეული გუნდის შემადგენლობაში შედის 10 მოჰადრაკე (8 მამაკაცი და 2 ქალი). საქართველოს გუნდში არიან მ. შიშოვი, გ. კასპარიანი, ბ. გურგენიძე, ა. ბლაგიძე, ა. ბუსლაევი, ნ. სოროკინი, თ. გიორგაძე, ო. ელიოზიშვილი, ქ. გოგიავა და ე. კაკაბაძე.

საკავშირო შეჯიბრში მონაწილე 18 გუნდი იყოფა ორ ჯგუფად. თვითეულ ჯგუფში ითამაშებს 9 გუნდი. ეს ასპარეზობა ნახევარფინალური იქნება. თვითეული ჯგუფში გამარჯვებული 4 გუნდი (სულ 8) გაითამაშებს ფინალს.

სასამართლო

პატიმრობა ხარდის მითვისებისათვის

...მგზავრის ჯიბე დანაკლისს არც კი იგრძნობს, თუ მას 5-10 კაპიკს ჩამოვრჩები. სამაგიეროდ ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე, შეუმჩნეველად შეგროვილი ფული კი საკმაო თანხას შეადგენს, — ფიქრობდა ტრამვაის კონდუქტორი ქ. ქარელიშვილი.

მგზავრთა ფულის მითვისების საბაბად იგი განუწყვეტლივ გაიძახოდა — მოითმინეთ, ხურდა არა მაქვს. და თუ ვინმე გაუბედავდა